წელიწადი პირველი | ფასი 5 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 30 იანვარი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 27. ტელ. № 11—68.
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 2

## ჟურნალის შინაარსი:

მოწინავე. ვის ვებრძვით—**ჩახვაძე.** ემიგრაციის საქმიანობა—**ალისტრო ვადაჭკორია.** რეაქციონერები ამოძრავდენ—**სტ. ელიაძე.** ვინ გვეძახის ხალხის მტრებს—**ს. გვიმრაძე.** ნუ თუ?—**ლეო შენგელაია.** სტაბილიზაცია ქმნილი ევროპა—**ალფ. ხელაძე.** საუბარი—**ივ. გომართელი** ექ. ქუთათელაძის ხსოვნას—**ივ. ლორთქიფანიძე.** ახალი გზისკენ—**შ. სანაძე.** თბილისის საბჭოს საქმიანობა—**ს. დოლიძე.** რკ.-გზებზე უბედური შემთხვევების გამო—**ა. კომახიძე.** მალარო—ლექსი **გიორგი ქუჩიშვილისა.** მასიური განქორწინება და ჩვენი კანონი—**გ. ხადაგიშვილი.** ბიბლიოგრაფია—ჯაყოს ხიზნები - ჯავახიშვილისა.—**სიო ჭანტურიშვილი.**

## ტბილისი, 30 იანვარი

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა და მისი ავანგარდი—პროლეტარიატი—უკვე შეუდგა საბჭოთა არჩევნებს. ის, დარაზმული საბჭოთა ორგანოებში, თვით არის უზენაესი ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისა.

არსად დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი ფორმა და კონსტიტუცია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა, როგორიც არის ჩვენში. და არც შეიძლება არსებობდეს ასეთი, ვინაიდან საბჭოთა საქართველოში ისე, როგორც ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში, არის დიქტატურა პროლეტარიატისა, ე. ი. პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონია მშრომელთა მასების ხელშია. სახელმწიფო ჩვენში არის ის აპარატი, რომელიც ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, იცავს მას უფლებრივი ნორმებით და აიძულებს სხვებსაც, მშრომელი ხალხის სოციალურ და პოლიტიკურ მტრებს, დაემორჩილოს საბჭოთა კონსტიტუციას..

ბურჟუაზია და მისი მემარცხენე ფრთა—მენშევიზმი, ვერ ურიგდებიან საბჭოთა წყობილებას. ისინი ისტერიული თავდავიწყებით გაიძახიან: საბჭოთა სისტემა ძალაუფლებას ანიჭებს მხოლოდ ერთ კლასს, პროლეტარიატს, ჩვენ კი პოლიტიკური დემოკრატიით და პარლამენტარიზმით სახელმწიფო მართვა-გამგეობას ვანიჭებთ **ყველა კლასებს, მთელ ერსო...** ამასვე გაიძახიან და „მეცნიერულად“ ასაბუთებენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს იდეოლოგები თავიანთ სახელმწიფო სამართლის თეორიებში.

რასაკვირველია, როგორც ყველგან, აქაც ცბიერობენ ბურჟუაზიის იდეოლოგები, ვინაიდან ფორმალური დემოკრატია თავის ყველა ატრიბუტებით—პარლამენტით, „საყოველთაო საარჩევნო უფლებით“ და სხვა,—მხოლოდ თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი, რადგანაც იქ, სადაც არსებობს **კაპიტალის ბატონობა, კერძო საკუთრება საწარმოო** იარაღებზე და შრომის ექსპლოატაცია, იქ, სადაც მთელი ეკონომიური და მატერიალური ძალაუფლება ხელთ უპყრია გაბატონებულ კლასებს — სახელმწიფო მართვა-გამგეობაც ამ კლასების ხელშია.

ზემონაჩვენებ გარემოებას სავსებით ამტკიცებს ევროპა-ამერიკის ფაქტიური მდგომარეობა. ამ ქვეყნებში არსებობს პარლამენტარული წყობილება; აქ ჟანჟაკ რუსოსა და მონტესკიოს პოლიტიკური ფილოსოფია ფაქტათ იქცა: „საყოველთაო საარჩევნო უფლება სახელმწიფოს ძირითად კანონით უზრუნველყოფილია“.

თითქოს ყოველივე ამ მხრივ რიგზეა, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი ფორმაა და მეტი არაფერი, ვინაიდან ამ ქვეყნების მუშათა კლასი და მშრომელი მოსახლეობა ფაქტიურად განდევნილია სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან. ბატონი და პატრონი აი ამ ქვეყნებში, დიქტატორის უფლებებით აღჭურვილი გახლავთ მხოლოდ ბურჟუაზია და სახელმწიფოც მხოლოდ და მხოლოდ იცავს მის ინტერესებს.

სულ სხვაა არსებით, შინაარსით და ფორმით საბჭოთა სისტემა. აქ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საჭე მშრომელთა ხელშია და, ვინაიდან მშრომელი მოსახლეობა ერის აბსოლიტიურ უმრავლესობას შეადგენს, ეს მართველობაც ამ უმრავლესობას ეკუთვნის.

სახელმწიფო კოოპერაციის და მუნიციპალური ხაზით ჩვენ მივდივართ სოციალისტურ წარმოებისაკენ.

საბჭოთა წყობილება—მუშათა კლასის და მშრომელი მოსახლეობის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციაში დარაზმული, ის მართავს მთელ ქვეყანას. მტერს შიშის ზარსა სცემს, მოყვარეს კიახარებს. და ამიტომაც საბჭოთა მორიგი არჩევნები, რომელიც ეხლა მიმდინარეობს, ცენტრალური წერტილია მასების გამოფხიზლებისა და მისი აქტივობისა.

ჩვენი მშრომელი მასები შეჰხარის თავიანთ საბჭოებს, ჩვენი მშრომელი მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის არჩევნებში, ის წარგზავნის იქ ახალ ძალებს—გამოცდილ და მედგარ ამხანაგებს, რათა ჩვენი სახელმწიფო ორგანოების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს მომავალში, ვიდრე ეს გასულში იყო.

მაშ, დავირაზმოთ საბჭოების არჩევნების ირგვლივ, მივიღოთ მის არჩევნებში აქტიური მონაწილეობა და ამ გზით გავამაგროთ ჩვენი—მშრომელი ხალხის ხელისუფლება.

# ვის ვებრძვით

ჯერ კიდევ არ განკურნებულა საქართველო 1924 წლის აგვისტოს ტკივილებისაგან და მის მშვიდობიანობას მშრომელ საქართველოს გეოები კვლავ ახალ საფრთხეს უმზადებენ. ქართველი მენშევიზმი კვლავ აპირებს მოუფიქრებელ გაჯიუტებას საქართველოს ისტორიის შარა-გზაზე, ძაგრამ სრულიად სხვა საშუალებებით, ვინემ 1924 წლამდე.

აგვისტოს ავანტიურამდე, ქართულ მენშევიზმს კიდევ ქონდა მაგარი ფესვები საქართველოს სინამდვილეში; მას კიდევ ყავდა აქ ერთნაირი ძალა, რომელზედაც შესაძლებელი იყო პოლიტიკური დაყრდნობა. 1921 წლიდან ვიდრე 1924 წლის აგვისტომდე ქართული საზოგადოებრიობა „უგარის“ (თავრეტიანობის) პერიოდს განიცდიდა. ამ საზოგადოებაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებლობის სული ტრიალებდა. რასაკვირველია, ეს საზოგადოება თავისი თვალებით ხედავდა საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობით საქმიანობას, მაგრამ არ უნდოდა ეს პლიუსათ ჩაეთვალა კომუნისტურ პარტიისათვის, რომელიც ამ საქმიანობას მეთაურობდა. ის კიდევ მოელოდა რაღაცას იმ „ჭკუიან კაცებისაგან“, რომლებიც 1921 წლის 17 მარტს ინგლის-საფრანგეთის გემებით გაეშურენ „კულტურულ“ ევროპაში—„წითელ იმპერიალიზმის“ მიერ შესანსლულ „მრავალტანჯულ ქართველი ერის“ გასანთავისუფლებლად.

მაშინ ალბათ არავინ არ იყო დარწმუნებული, რომ ეს „ძალით მაცხონეს“ ილუზია მშრომელ საქართველოსათვის კატასტროფით დასრულდებოდა. პირიქით, ძირფესვიანად იყო განმტკიცებული ის რწმენა, რომ შავი ზღვის ნაპირებთან მოსული „ევროპის დემოკრატიის“ ძალა შემოესხმებოდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და „ევროპის დემოკრატიის“ სასუფეველში შეიყვანდა განთავისუფლებულ საქართველოს. შავი ზღვის ნაპირებისაკენ ცქერის ორიენტაცია რეალურად იმით იმაგრებდა ძირს, რომ არ იყო სურვილი რეალური სათვალეებით განჭვრეტილიყო ის ეკონომიურ - სოციალური საქმიანობა, რომელსაც რუსეთის მშრომელი ხალხი აწარმოებდა. ამ ანტისაბჭოებრივ მასის თვალში ბოლშევიზმი მხოლოდ დანგრევის მატარებელი ძალა იყო. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართული მენშევიზმი ტრადიციული იდეოლოგია იყო საქართველოში.

მაშასადამე ქართულ ემიგრაციას შინ, აქ საქართველოში საკმაო ძლიერი ზურგი ჰქონდა გამაგრებული. ევროპის დემოკრატიაშიც მან ერთგვარი გამოძახილი პოვა. ამ დემოკრატიას საკმაოთ გარკვევით ქონდა გათვალისწინებული, რომ ბოლშევიზმი, როგორც დამნგრევი ძალა ანგრევდა სწორედ კაპიტალისტურ ურთიერთობის საფუძვლებს. ევროპის ყვითელი ფერის დემოკრატიამ კარგად იცოდა, რომ მოსკოვის წითელი პროლეტარული დემოკრატია სამარეს უთხრიდა ბურჟუაზიულ წესწყობილებას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილმა სოციალურმა ურთიერთობამ, საბჭოთა რუსეთში გაბატონებულმა წარმოების სოციალისტურმა წესმა მიჯნა გაავლო ძველსა და ახალ ქვეყანას შორის. მან მოსკოვი დაუპირდაპირა ლონდონს, პარიჟს, ბერლინს, რომს და ნიუიორკს.

თუ ძველი მოსკოვ - პეტერბურგი ევროპის განმათავისუფლებელ მოძრაობის მესაფლავე იყო, ოქტომბრის მოსკოვი თანამედროვე ევროპის პროლეტარულ განმათავისუფლებელ მოძრაობის მედროშეთა და დარაჯათ გამოვიდა. ევროპის „განათლებული დემოკრატია“ დაფრთხა განათლების აჩრდილმა და ის ამოძრავდა საბჭოების წინააღმდეგ.

შედეგი: დენიკინ — კორნილოვ—ალექსეევ—სავინკოვის შინაგანი კონტრ-რევოლიუცია და პუანკარე-ლოიდჯორჯის ინტერვენცია. ამ ბრძოლაში 1921 წლისათვის ევროპის ბურჟუაზია რქა მიტეხილი იყო ძლევამოსილ წითელ არმიის მიერ და მოსკოვის „რქენას“ თავი დაანება, რომ შუბლი გაუბზარავად შეენარჩუნებია. სწორედ ამ ხანებში, ევროპაში შეხიზნული ქართული ემიგრაცია, ეს „ბედით შეურაცყოფილი“ დემოკრატია, ევროპის „დემოკრატიამ“ გულღიათ მიიღო. მან მას დახმარებაც კი აღუთქვა. მან საქართველოს საკითხი რეკლამათ აქცია და შეეცადა ის ბოლშევიზმის გასაბახებლად გამოეყენებინა.

ქართულმა მენშევიზმმა ისარგებლა რა ამ მდგომარეობით, შინ აფრინა ცნობა, რომ „კულტურული ევროპა“ ფარხმალს ისხამს საქართველოს „გასანთავისუფლებლად ბოლშევიკური ტირანიისაგან“. ამგვარად მომზადებულმა ნიადაგმა აგვისტოს ავანტიურა მოგვცა შედეგათ. ევროპის დემოკრატია მხოლოდ ლაყბობდა „უბედურ საქართველოს“ ბედის შესახებ მაშინ, როდესაც სწორედ გაუბედურებული ქართველი ხალხი სიმწრით იტანდა მიყენებულ ტკივილებს.

საჭირო დარჩა ეს ავანტიურა, რომ „უგარი“ გონება-გამჭრიახობით შეცვლილიყო. ქართული მენშევიზმის აქ დარჩენილმა ლიდერებმა ახალი სათვალეები მოირგეს და ჩაუკვირდნენ საბჭოთა საქმიანობის სინამდვილეს. ჩაუკვირდნენ და ნახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ არის ისე წყალ-წაღებული, როგორც წარმოდგენილი იყო. გარკვევით იქნა აღიარებული, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრიობას ორგანიული მუშაობა შეუძლია.

ქართველი ემიგრაცია და უკბილო პოლიტიკოსები გაოცებულნი იყვნენ, რომ მრავალ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს „ჩეკაში“ აეხილა თვალი ორი-სამი თვის განმავლობაში. აქ არაფერი გასაკვირველი არ არის. პსიხოლოგიურად ეს სრულიად მართლდება. ამ ხალხს მიეცა საშუალება 2—3 თვე ეფიქრათ იმაზე, თუ რა აკეთეს, ვის წინააღმდეგ იმუშავეს და როგორია ამ მოწინააღმდეგის აქტივი. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაგან დასვენების ჟამს, ღრმა ფიქრმა მრავალს აღებინა ხელი ძველ პოლიტიკაზე და შეარიგა ის საბჭოთა წყობილებას. თუ ეს თვით გაწმენდა ბელადებს დასჭირდათ, მათმა ლაშქარმა ინსტიქტიურად იგრძნო, რომ საჭირო იყო სულ სხვა მარშრუტით სიარული. მან წინ წაუსწრო ბელადებს, არც კი დაუცადა მათ „ღრმა ანალიტიურ ნაფილოსოფოსევს“, დაარსა საკუთარი „მუშათა კომისია“ და უპატრონა მშრომელ ხალხს.

მასამ წინ წაუსწრო ინტელიგენციას და თვით შეუდგა ძველი პოლიტიკის ლიკვიდაციას, მაგრამ არა იმიტომ, რომ პოლიტიკის გარეშე დამდგარიყო, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკაში აქტიური ჩაბმით მშრომელთა საკეთილდღეოთ საქმე ეკეთებინა. ამ მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ქართული ემიგრაცია მოკლებულია იმ მთავარს, რაც მას უპირატესობას აძლევდა 1924 წლამდე. მას უკვე ჩამოშორდა ის ლაშქარი, რომელიც შავი ზღვისაკენ იყურებოდა. მშრომელმა მასამ აშკარად შეიგნო, რომ ბოლშევიზმს მოაქვს არა ჩვენი განადგურება, არამედ იმ საქმიანობაში ჩაბმა, რომელსაც სოციალიზმის მშენებლობა ეწოდება და რომლისთვისაც საქართველოს მშრომელი მასა ათეულ წლობით იბრძოდა.

ამ მასამ იპოვა თავისი იდეალების რეალიზაციის ნიადაგი და მიტომ აღარ უყურებს ევროპაში გახიზნულ „ჭკუიან კაცების“ რჩევა - დარიგებას. ამიტომ არის, რომ ქართული ემიგრაცია გაირიყა საქართველოს სინამდვილისაგან ე. ი. მას აღარ ყავს აქ ის მასა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რახან ემიგრაციამ დაკარგა იმედი, რომ მას საქართველოს მასალით არ შეუძლია ცეცხლი შეუნთოს და შესწვას საბჭოთა ხელისუფლება, ის ამ ცეცხლის შემონთებას გარედგან ეპირება. ამ მიზნით ის უკავშირდება ყველა იმათ, ვინც შეურაცხყოფილია ოქტომბრის რევოლიუციის მიერ. ის უკავშირდება უკრაინის, მთიულეთის, აზერბეიჯანის, სომხეთის და სხვ. „დაჩაგრულ ერთა“ ემიგრაციას, ევროპაში ელაპარაკება დაინტერესებულ

მფარველებს, ლესავს ბებუთს და იმაგრებს ჩვენს ასაფეთქებელ მასალას, საგარეო ავანტიურასთან ერთად, ქართული მენშევიზმის გეგმით სრულიად არ არის გამორიცხული შიგაგანი ავანტიურის მოწყობის ცდა და ამნაირად ქართველ ხალხს მისდა უკითხავად „განთავისუფლებას" უპირებენ.

ქართველმა ხალხმა საკმაოდ იგემა მენშევიკური „განთავისუფლების" ცდის შედეგები და ის არას დროს არ წამოეგება პროვოკაციულ ანკესზე. საბჭოთა ხელისუფლება მისი ხელისუფლებაა არის და ის ამ ხელისუფლებას დაიცავს. ეხლა გვაიართებს გაფთრებული ბრძოლა, რომ საბოლოოთ წავართვათ მენშევიზმს საშუალება ივაჭროს ხალხის სისხლით. ამიტომ კი საჭირო არის უპირველეს ყოვლისა პოლიტიკა. ჩვენ არა ერთხელ გვსმენია, რომ ესა თუ ის პირი პოლიტიკის გარეშე დადგა. მართალია შეიძლება ამა თუ იმ პარტიიდან გასვლა, მაგრამ განა ეს პოლიტიკის სფეროდან გასვლაა? რას ნიშნავს პოლიტიკის გარეშე დგომა? ეს ნიშნავს თანამედროვე ცხოვრების გარეშე დგომას, რომელიც მთლიანად პოლიტიკაა. ვისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ პოლიტიკის გარეშე დგომა თავისთავად თვით პოლიტიკა არის. რაიმე პოლიტიკური მოტივით უნდა იდგე პოლიტიკის გარეშე; ისე არ შეიძლება პოლიტიკური მოღვაწე პოლიტიკის გარეშე დადგეს. შეიძლება პოლიტიკურ მოსაზრებით პარტიის გარეშე დადგე, მაგრამ პოლიტიკაში კი ჩაბმული იყო.

შეიძლება ჩვენში პოლიტიკის გარეშე დგომა? როდესაც ქართული მენშევიზმის ხრიკებს ვააშკარავებთ, რა უნდა ქნას „პოლიტიკის გარეშე" მდგომმა პირმა: უნდა გამოსთქვას თუ არა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი? მან ეს დამოკიდებულება უნდა გამოსთქვას და მაშასადამე ის პოლიტიკაში იჭრება.

ის, ვინც დღეს ჩვენში პოლიტიკის გარეშე სდგას, ჩვენთან არ არის ის ჩვენს წინააღმდეგ არის. ასეთი ტიპის ხალხი წარმოადგენს შინაურ ემიგრაციას, რომლის დაშლა აუცილებლად საჭირო არის. ის ყოფილი მენშევიკი, რომელიც კიდევ არ დასდგომია „ახალ გზას", არ არის ჩვენი მოკავშირე.

საჭირო არის ვისაც ეს ეხება შეიგნოს, რომ ახალგზელების ბრძოლა წარმოადგენს თავდადებას მშრომელთა საკეთილდღეოთ. ჩვენ მიტომ ვებრძვით ქართულ მენშევიზმს, რომ გვიყვარს მშრომელი საქართველო და ვისაც ამ საქართველოსთვის ბრძოლა არ „ეთაკილება" ის ჩვენთან უნდ იყოს.

მენშევიზმის ბრძოლა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ეს არის ახალი სოციალისტური საქმის დაშლისკენ მიმართული ცდა და ჩვენ არავითარ საფრთხის წინაშე არ უნდა დავიხიოთ, რომ ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგები ჩვენი ახალი ძალებით გავამაგროთ.

ასეთია ახალი გზით მიმავალ ისტორიულ ცხოვრების მოთხოვნილება.

ზ. ჩახვაძე.

# ემიგრაციის „საქმიანობა"

თებერვლის რევოლიუციის ძლევა - მოსილებამ შეანგრია თვითმპყრობელობის კედელი და მიანიჭა ხალხს სრული თავისუფლება. გასაგებია, რომ გაალებული ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ მეფის მსხვილფეხა ჯალათებს არ შეეძლოთ დამშვიდებით და მათი სიცოცხლის უზრუნველყოფით ეცქირათ თავისუფლებისა და რევოლიუციის ბუნებრივ განვითარებისათვის.

რევოლიუციას საერთოდ ახასიათებს თავის უაღრესი ულმობელობა, მას, ისე როგორც ყველგან და ყოველთვის მთელი თავისი სიმძაფრით უნდა მოემარჯვა რევოლიუციონურ კანონიერების მართლ-მსაჯულება ყველა იმათზე, რომლებმაც მთელი საუკუნოების განმავლობაში ხალხის თავისუფლების იდეას დაუპირდაპირა საშინელი ინკვიზიცია, თავისუფლების თავდადებულ საუკეთესო შვილთა ძვლებით გაავსო შლისელბურგ-პეტრე-პავლოვსკის შავ-ბნელი ჯურღმულები, გააპოხიერა ციმბირის შორეული ველები.

თებერვლის პოლიტიკურ აქტს გაექცა მხოლოდ დიდი მთავრები, ზოგიერთი გენერლები და სასახლის რჩეული ბანოვანები.

აღსანიშნავია რომ კერენშინას ჰუმანიურმა გრძნობებმა ძლივს შესძლო დაპატიმრებულ მეფე ნიკოლოზისა და მისი ამალის ციმბირში გადასახლება, ხოლო ზურგში კი დაუტოვა ცარიზმის დამცველი, უკვე მომქმედი ფაფარ - აყრილი კორნილოვშინა.

ქ. ტობოლსკში სადაც იმყოფებოდა ჯალათი სრულიად რუსეთისა ვითომდა გაძლიერებულ მხედველობის ქვეშ, მის გარშემო თავისუფლად ხდებოდა დაგროვება შავრაზმელ ოფიცრებისა და ციმბირის კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების.

მზადდებოდა მეფის გეგმიანი და სასწრაფო გაქცევა.

კერენშინა თითქოს ხელოვნურად აწყობს გაქცევასო. მეფის დასაცავად ზომები არ ყოფილა მიღებული.

და თუ არა ოქტომბრის პოლიტიკური აქტი, რუსეთის შავრაზმული ემიგრაცია, რომელიც სამეფო გვირგვინის ძებნაშია დღეს, იამაყებდა კურთხეულ გვირგვინოსან მეფე ნიკოლოზ მე-2-ს სიცოცხლით. მაგრამ ეკატერინობურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მეფესა და მის ოჯახურ შემადგენლობას ღირსეული სასჯელი მიუზღო და ისიც დროულად.

სოციალურმა გარდაქმნამ თითქმის აღმოსწვა ყოველგვარი ნარჩენი სოციალური უკუღმართობისა და მისი აღდგენის შესაძლებლობის.

მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ და შემდგომმა სამოქალაქო ომებმა მაინც საკმაოდ დიდი ტალღა გადაისროლა ბრძოლაში განადგურებულ მებრძოლ კონტრ-რევოლიუციისა ევროპის სხვადასხვა კუთხეებში.

დღეს ევროპის ტერიტორია აღვსილია რუსულ კონტრ - რევოლიუციონური ემიგრაციით და მათი რიცხობრივი რაოდენობა აღწევს რამდენიმე მილიონს. აქვთ ხაზინა და საკუთარი მმართველობა რუსული მონარქიული ატრიბუტებით. რუსის ძველი ჟანდარმი, პოლიცია, ჯარი და ფლოტი დანაწილებულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ მოსაზღვრე ფინიების ტერიტორიაზე და ფხიზელის თვალით ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს, რომ შიგ შემოიჭრან და გაამეფონ შავბნელი რეაქცია, მოსპონ და გაანადგურონ რევოლიუციის ნაამაგარი.

მონარქიული რეჟიმის აღდგენის შესაძლებლობა კი რუსეთში — ეს ცხოვრებისაგან განწირულთა ავადმყოფ ფანტაზიორთა ნაყოფს თუ მიეწერება, რომ თვითმპყრობელობა, როგორც ასეთი, ან და შეკვეცილი დემოკრატიული სხვა რამ ფორმა წყობილებისა ერთხელ და სამუდამოდ მოკვდა საკავშირო მშრომელ მოსახლეობის გულში და ყოველგვარი შემოტევა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჭეშმარიტად რომ წააწყდება საშინელ და კატასტროფიულ წინააღმდეგობას შიგნით.

მაგრამ რუსეთის შავრაზმულ ემიგრაციის საქმიანობას „ბედნიერ დღეების" მოლოდინში ასე თუ ისე კიდევ აქვს აზრი, როგორც დიდ სახელმწიფოს დიდ ნაშხეფს. მას სრული უფლება აქვს იმედი იქონიოს ევროპის ფაშისტურ ბურჟუაზიისა, რომელიც დაინტერესებულია რუსეთში ძველი რეჟიმის აღდგენით და ქვეყნის უამრავი დოვლათის მითვისებაში.

ანალოგიურ მდგომარეობაშია უკრაინის შოვინისტური ემიგრაცია. ისინი ჯერ კიდევ იმედს არ კარგავენ და მათ ასულდგმულებს იმედი საბჭოთა კავშირის ინ-

ტერვენციისა, და პოლონეთის დიქტატური პან-პილსუდსკი, ეს გათავხედებული ავანტიურისტი უკრაინის გახიზნულ ზუარეთთა მეთაურობით ხმალ ამოღებული ლამობს საბჭოთა უკრაინის, ამ საკავშირო ერთეულის განუყრელ და ორგანიული სხეულის ჩამოჭრას და პოლონეთთან შეერთებას, ავტონომიის გაღებით.

ჭეშმარიტად, რომ სარფიანი გეგმაა, თუ მის განხორციელებისათვის არ გაიტეხეს თავები.

**საქართველოს მენშევიკურ ემიგრაციას** ამჟამად მაინც არ გააჩნია არავითარი რეალური და მორალური ძალა არც შიგნით, არც გარედ. ოდესღაც ძლიერმა რევოლიუციონურმა პარტიამ რევოლიუციის უდიდეს ასპარეზზე ვერ გამოიჩინა საკმაო პოლიტიკური მომზადება და კატასტროფიულად დამარცხდა ოქტომბრის რევოლიუციასთან ბრძოლაში. კერძოდ აგვისტოს აქტის შემდეგ, რომელმაც აუღაცხელი უბედურება დაატეხა ქართველ ხალხს, მენშევიკებმა ჩვენში დაჰკარგეს ყოველგვარი ნიადაგი, ნდობა, ავტორიტეტი.

მაგრამ ეტყობა აგვისტოს მწარე გაკვეთილებს ვერაფერი უსწავლებია საზღვარგარედ გადახიზნულ ქართველ ემიგრაციისათვის. პარიზის ს.-დ. ცენტრი ანტისაბჭოთა კოალიციონური ფრონტით არ სტოვებს ძველ გზას და ევროპის ფაშისტურ ბურჟუაზიის ლოცვა-კურთხევით „იოაზმება“, რომ კვლავ ახალი უბედურება დაატეხოს ჩვენს ხალხს.

პარიზში შემდგარი „ამიერ - კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი“ — უკრაინის დარივით მოწმობს იმას, რომ კვლავ მზადდება ახალი ექსპერიმენტები შიგნით, ახალი შემოტევა გარედან. რაღა თქმა უნდა, პარიზის ქართულ ლაბორატორიის საცდელი მინდორი ისე, როგორც ყოველთვის იქნება საქართველოს ტერიტორია, ხოლო აჯანყების საშუალება ქართველი ხალხის განაწამები სხეული. აჯანყების ცეცხლში ჩათრეულ ქართველ მოსახლეობას ჯერ კიდევ არ განუკურნავს აგვისტოს გამოსვლებით მიყენებული ტკივილები, ჯერ კიდევ არ შეშრობიათ უგუნურების მსხვერპლთა ქვრივ-ობოლთ ცრემლები, რომ მათ კვლავ უპირებენ ავანტიურაში ჩათრევას. ვითომდა საქართველოს ეროვნულ კეთილდღეობისა და დაკარგულ ბედნიერების აღსადგენად.

აგვისტოს კატასტროფიული მარცხის შემდეგ ამ ხალხს კიდევ ყოფნის გამბედაობა და შერჩენიათ რწმენა, რომ რახან თავიანთი ნება-სურვილის წინააღმდეგ დასტოვეს სამშობლო ქვეყანა, რახან დღეს ისინი წარმოადგენენ ემიგრაციას ქართულ, შოვინისტური სულით, თვის ლომი მათ „მამულიშვილურ“ თავდადებას არ დაივიწყებს, რომ „დაპყრობილი“ და ბოლშევიკურ „ტირანიის“ ქვეშ მგმინავი ერი ციურ მანანასავით შესცქერის მათ, მათგან მოელის ხსნას, მათზე ფიქრობს, ოცნებობს და გადმოგდებულ ყოველგვარ ავანტიურისტულ ანკესს ზევიდან ადვილად წამოეგება.

დიაღაც რომ ქართველმა ხალხმა განვლო საკმაო ხანა ლოდინის, ხანა ჯანყის, შფოთის, დარწმუნებული, რომ მეორე ინტერნაციონალისა და ჩვენი იდეოლოგების მიერ გაცემული თამასუქები საქართველოს საკითხში განაღდდებოდა, და განაღდდებოდა „კაცთმოყვარე“, ცივილიზაციური ევროპის საზოგადოებრივი აზრის საქმიანი დახმარებით, მაგრამ მოვსტყუვდით. საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ შექმნილი საომარი მდგომარეობა შიგნით, და ჩვენი ყოფილი მთავრობის მიერ განვლილი ეტაპები გარედ მთელი თავისი საშინელებით არავისათვის მისაღები არ დარჩა, საქართველოს საკითხში ჩვენ სრულიად განმარტოებული დავრჩით და ჩვენი ბედი რუსეთის ბედს დაუკავშირდა. ბუნებრივი იყო პარტიაში წარმოებული პოლიტიკის რევიზია. ამით მოხდა ისტორიული აქტი. საკითხი გადაიჭრა, ორ მოძმეთა შორის ზავი ჩამოვარდა და პარტიის რჩეული ნაწილი. ძველი მუშები. გლეხები და მშრომელი ინტელიგენციის დიდი ნაწილი მმართველ პარტიას ამოუდგა გვერდში

ნურავის გგონიათ, რომ ვაფურთხებთ წარსულს, ვიყავით, ვართ და სიკვდილამდე დავრჩებით სოციალისტები მთელი ჩვენი რევოლიუციონური სიამაყით, გვაქვს ეროვნული თავმოყვარეობა და გვჯერა, რომ განხორციელდება ოქტომბრის ლოზუნგი: „დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება სრულ გამოყოფამდე“ — თუ ეს ხალხის ინტერესებს შეეფერება. და თუ ოქტომბრის დანიშნულების მაქსიმუმი ეროვნულ ურთიერთობის მოგვარების საკითხში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, და ვერც განხორციელდება ვიტყოდით ჩვენ, სანამ ჯერ კიდევ არსებობს მსოფლიოს ექსპლოატატორთა ხროვა, რომელთაც ვერ მოუნელებიათ საბჭოთა ფორმა წყობილებისა და სანამ გარშემორტყმული ვიქნებით ცოფ-მორეული ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკადით, რომელთა ზრახვების დასამსხვრევად კი ჩვენ გვჭირდება მთლიანი, რევოლიუციონური და განუყოფელი ფრონტი.

საბჭოთა ცხოვრების სინამდვილემ არ გაამართლა ის პროპაგანდა აგიტაცია, რომლითაც ვიკვებებოდით მთელი წლების განმავლობაში, რომ ბოლშევიზმი, ეს არის მეხი და რისხვა, რომელიც სპობს და ანადგურებს ყოველგვარ არს, ყოველგვარ სასიკეთოს, რომ ბოლშევიზმი თავისი სოციალური ბუნებით არის დამშეული კალია, რომელიც ედება საზოგადოებრივ დოვლათს, ყველაფერ შექმნილს ჰნთქავს და არაფერს ქმნისო.

მსოფლიოს იმპერიალისტურმა ულეტამ შთანთქა საუკუნოებით დაგროვილი საზოგადოებრივი დოვლათი, საბჭოთა ხელისუფლებას ეანდერძა ქვეყანა გამოფიტული, გაპარტახებული მეურნეობით. არსებულ ობიექტიურ პირობებში ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ მისცემდა მშრომელ მოსახლეობას იმაზე მეტს, რაც მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ თავის არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში.

საბჭოთა აღმშენებლობის სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ წინსვლის უტყუარ მაგალითებს ჩვენი ქვეყნის მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიალიზაციისათვის. მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ძალები მიმართულია წარმოების ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციისაკენ — როგორც სოფლად, ისე ქალაქად. გვაქვს ეროვნულ მშვიდობიანობის გარანტია და ვდგევართ ნაციონალიზაციის, ეროვნულ კულტურულ განვითარების და განმტკიცების ურყევ საფუძვლებზე.

ასეთია ფაქტი დღევანდელ რეალურ საქართველოისა და ყველა ურწმუნომ ვისაც არა აქვს ფაქტი ფაქტის წინააღმდეგ, მან უნდა იარაღი დაყაროს — უნდა წამოიჩოქოს ლენინის კვარცხლბეკის წინაშე.

საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო გართულებები, როგორც მაგალითად ოპოზიცია, ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი, რომელიც ჩვენ უკვე ვსძლიეთ, ვერაფერი მახარობელი იქნება კარზედ მომდგარ მტრებისათვის. ნურავის გონიათ, რომ საბჭოთა ძალაუფლება დაეცემა, ბოლშევიკები წავლენ და ბარიკადების გადაღმა მყოფნი ტრიუმფით მოგვევლინებიან. რატომ ავიწყდებათ მათ, რომ საბჭოთა ბუნებამ არ იცის ლმობიერება, რომ თავზედ დამტყდარ საბედისწერო მომენტებში. ზურგს უკან თავის მტრებს არ მოიტოვებს და ვინც ლამობს ბორკილაყრილ „თავისუფალ საქართველოში“ შემოსვლას, მათ აქ დახვდებათ მიწა-წყალი ქართველების გარეშე.

ეს უნდა ახსოვდეთ ყველა იმათ, ვინც ქართველი ერის სახელით ახალი ავანტიურის სამზადისშია, რომ ნაკლები ბრალდებებით წარსდგენ ისტორიის სამჯავროს წინაშე.

**ალისტრო ვადაჭკორია.**

# რეაქციონერები ამოძრავდენ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობა რომ ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო იმპერიალისტების ხროვას, ეს დღეს ყველა მუშისა და მშრომელი გლეხკაცობისათვის უდავო ჭეშმარიტებაა.

რამდენადაც საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობა წინ მიიწევს და მკვიდრ მიადაგზე დგება, რამდენადაც საბჭოთა კავშირის წინმსვლელობას და აღორძინებას თამაგრძნობით უცქერის მსოფლიო მუშათა კლასი და მასში ხედავს თავისი განთავისუფლების საწინდარს, რამდენადაც ამ მოძრაობას ფართოდ გამოეხმაურენ აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები და მათაც აილეს მახვილი იმპერიალისტური ბატონებისაგან თავის გასანთავისუფლებლად და ეროვნულ - პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად—იმდენადვე იმპერიალისტური სახელმწიფოები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ როგორმე თავიდან მოიშორონ და გაანადგურონ საბჭოთა კავშირი.— იმპერიალისტური სახელმწიფოების მომავალი მესაფლავე და მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვების ციხე-სიმაგრე.

აბა ვინ არ იცის, რომ ამ ანტი-საბჭოთა მოძრაობის მეთაური და სულის ჩამდგმელი ყოველთვის იყო და ეხლაც არის ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. ვის არ ახსოვს, რომ ინგლისის კონსერვატორებმა შესთხზეს კომინტერნის ცნობილი „წერილი“ და სრულიად ადვილად მოახერხეს ამ ყალბი წერილის საშუალებით მაკდონალდის უხერხემალო მთავრობის ჩამოგდება.

ამ დღიდან მოკიდებული კონსრევატიული მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი—ჩემბერლენი ყოველ ღონეს ხმარობს საბჭოთა კავშირის გარემოცვისათვის ამ კავშირთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოების რკალით.

ინგლისის გაქნილი დიპლომატიის თანდაყოლილი თვისება ყოველთვის იყო ის, რომ სხვისი ხელებით გაეკეთებია ის საქმე, რომელიც შემდეგ მას სარგებლობას მოუტანდა. ამ „პატიოსან ხელობას“ ის დღესაც გულმოდგინეთ ასრულებს.

ინგლისის რეაქციონური მთავრობა ცდილობს საბჭოთა კავშირის დამარცხებას ამ კავშირის მეზობლად მდებარე პატარა სახელმწიფოების საშუალებით. ამ მიზნით ინგლისი ახდენს ფაშისტურ გადატრიალებას განაპირა სახელმწიფოებში.

გასული წლის მაისში ჩვენ მოწამენი გავხდით პოლონეთში ფაშისტური რეაქციის გამარჯვებისა პილსუდსკის მეთაურობით. შემდეგ იმავე პილსუდსკისა და ინგლისის კონსერვატორების აქტიური დახმარებით ფაშისტური გადატრიალება მოხდა ლიტვაში.

ამით გათამამებული ლატვიის ფაშისტებიც არ ჩამორჩენ თავიანთ კოლეგებს და ამ რამოდენიმე ხნის წინად სინჯეს ნიადაგი ფაშისტური გადატრიალებისათვის ლატვიაში; შაფისტებმა ვილაც არამზადა ხამხედრო პირის, ყოფილი კოლჩაკის ოფიცრის ოლინის ხელმძღვამელობით ხელში ჩაიგდეს პატარა ქალაქ ვოლმარის რამოდენიმე დაწესებულება და მათი „მოღვაწეობის“ პირველი ნაყოფი იმაში გამოიხატა, რომ დაუყონებლივ მოითხოვეს გაცემა იმათი, ვისაც ბრალს სდებდენ კომუნისტობაში.

თუმცა ვოლმარში ფაშისტური გამოსვლა დამარცხდა, მაგრამ სრულიადაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დამარცხებით საბოლოოდ აღკვეთილი იქნება მომავალში ასეთი გამოსვლების შესაძლებლობა.

როგორც ვიცით ლატვიაში არსებობს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომლის ბუნება ისეთია, რომ მას არ შეუძლია გადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ. ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს ლატვიაში გამოსვლების შემდეგ შექმნილი მდგომარეობა. იმის მაგივრად, რომ ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ამ გამოსვლების შემდეგ მაინც მიეღო გადამჭრელი ზომები ფაშიზმის წინააღმდეგ და განეიარაღებია ფაშისტური რაზმები, შეექმნა მთლიანი ფრონტი მემარცხენე ელემენტებისაგან, ლატვიის სოციალ - დემოკრატიული მთავრობა დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ვოლმარში გამოაცხადა საალყო წესები და დააპატიმრა გამოსვლის ხელმძღვანელი ოლინი.

ამ პატარა რეპრესიის გამოც კი ლატვიის მემარჯვენე პრესამ ასტეხა განგაში და ხმაურობა ლატვიაში კომუნისტური საფრთხის შესახებ და დეპეშების გადმოცემით შემდგარა ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც ორატორები მოუწოდებდენ დამსწრეთ ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ სოციალისტებთან საბრძოლველად. აურჩევიათ ნაციონალისტურ გაერთიანებათა გამგეობა.

უნდა აღინიშნოს მსოფლიო მენშევიზმის დამოკიდებულება იმ ფაშისტურ მოძრაობასთან, რომელიც მიზნათ ისახავს მუშურ - გლეხური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის გაჩაღებაში და ჭორებისა და ინსინუაციების შეთხზვაში მსოფლიო მენშევიზმის ბელადებს ნაკლები „მოღვაწეობა“ არ მიუძღვით, ვიდრე ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულ კალმოსნებს. ამ მხრით ყველაზე დიდი შრომა გერმანიის სოციალ - დემოკრატების ბელადებს მიუძღვით, რა თქმა უნდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რუსეთისა და საქართველოს მენშევიზმის ხელმძღვანელებს.

გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ბელადები, იმის მაგივრად, რომ მათ შექმნან მთლიანი ფრონტი კომპარტიასთან ერთად ჰინდენბურგის რეაქციონურ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ ჰინდენბურგის, რომელიც გერმანელი მენშევიკების ლოცვა-კურთხევით იქნა აყვანილი პრეზიდენტის სავარძელში, ოფლში იწურებიან, რომ რაიმე ჭორები შეთხზან საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა, აგრესიული ზრახვების შესახებ; ვის არ ახსოვს ამას წინად „ფორვერტსის“ მიერ დაწყებული გააფთრებული კამპანია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთივე გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს მსოფლიო მენშევიზმის სხვა ქვეყნების მენშევიკური ბელადებიც.

ერთი სიტყვით მენშევიზმი დღეს გადაიქცა აღვირახსნილ ფაშიზმის გზის გამკაფველათ. ხელის შემწყობ იარაღათ არხირეაქციონური მოძრაობის გასავრცელებლად იმ ქვეყნებში, სადაც დღემდის ასე თუ ისე, მუშათა კლასი ერთგვარი პოლიტიკური თავისუფლებით მაინც სარგებლობდა.

ჩვენ ამჟამად არას ვამბობთ ქართველი მენშევიკების ბელადების „მოღვაწეობის“ შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი „მოღვაწეობის“ დახასიათებას ჩვენ შემდეგისათვის გადავდებთ. ეხლა კი უნდა განმეორებით აღინიშნოს, რომ მსოფლიო იმპერიალისტები, მთელი ქვეყნის მენშევიკების ბელადების და მეორე ინტერნაციონალის ლოცვა-კურთხევით და აქტიური დახმარებით ახალ ქსელს აბამს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გულდამშვიდებით ადევნებს თვალყურს ამ მორიგ პროვოკაციას მის წინააღმდეგ და გაასკეცებული ენერგიით განაგრძობს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველგვარი იმპერიალისტური პროვოკაცია, მიმართული საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასების წინააღმდეგ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდება და კისერს მოიტეხს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ფოლადისებურ სიმტკიცეზე.

ხ. ელიაძე.

# ვინ გვეძახის „ქართველი ხალხის“ მტერს

საქართველოდან გაქცეული, ცხოვრების მიერ გარიყული ხალხი, რომლებსაც ევროპაში მოუკალათებიათ და ბურჟუაზიის სამსახურს ეწევიან, ჩვენ „მუშათა კომისიის“ წევრებს გამცემლებს და მოღალატეებს გვიწოდებენ.

ისენი ყოველ მოხვეულში ჩვენზე ანთხევენ შხამს და ჩვენ „ქართველი ხალხის მოღალატეებად“ გვნათლავენ. მაგრამ საკითხავია, ვინ არის მართლა მოღალატე, ჩვენ, რომლებიც საქართ.-ოს მშრომელ ხალხთან, მუშებთან და გლეხებთან ერთად ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას, თუ ისინი, ვინც გვერდში ამოსდგომია საერთაშორისო ბურჟუაზიას, და ყოველგვარ ბნელ ძალას, რომელიც მიმართულია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ?

და პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ემიგრაცია ასცდა რევოლიუციონურ გზას და მთლიანად შესდგა კონტრ-რევოლიუციის გზაზე. ისინი თავისი მოქმედებით გვერდში ამოუდგენ ბურჟუაზიას და კიდევ მეტი, უსინდისოდ ასრულებენ ბურჟუაზიის დირექტივებს.

ემიგრაცია მოექცა რეაქციონურ ბანაკში და მით მან თავის-თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ფაშისტურად განწყობილმა ემიგრაციამ დაჰკარგა ყოველივე ნდობა ქართველ მშრომელ ხალხში და, თუ კიდევ ზოგიერთები აქა-იქ უჯერებენ რამიშვილების ჭორებს, ესენი არიან გზა აბნეული, ცხოვრების მიერ განწირული ხალხი, რომელთაც ქართველი მშრომელი ხალხის ბედი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს მათთვის სასარგებლო იქნება.

მუშათა კომისია მუშაობს მთელი თავის ძალ-ღონით, მუშაობს და იმუშავებს ქართველი მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. მუშათა კომისიამ თავის გარშემო შემოიკრიბა მრავალი ძველი მუშები, ბრძოლაში ნაცადი რევოლიუციონერები, გვერდშიდ ამოუდგა მშრომელი ხალხის მთავრობას და მასთან ერთად იწყო თავდადებული მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ალბად დღესაც მოიძებნებიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც სჯერათ რამიშვილის სასწაულთმოქმედება და მით ხაფანგში ებმებიან. ჩვენი ვალია ყველა გზააბნეული სწორ გზაზე დავაყენოთ და მით ხელი შევუწყოთ საერთო საქმეს.

ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა „მუშათა კომისიამ“, ეს ნათელია ყველა იმათთვის, ვისაც თვალნი ხედვათ აქვთ, და ყურნი სმენად.

დეე, ემიგრაციამ გვლანძღოს ჩვენ, დეე, გვიძახონ მათ ჩვენ მოღალატეები და გამცემლები. ამის ჩვენ არ გვეშინია. ხალხი დააფასებს ჩვენ მუშაობას და შესაფერის მსჯავრსაც დასდებს მას. ალბად შორს აღარ არის ის დრო, როდესაც დაჰკრავს ზარი საერთაშორისო რევოლიუციისა და მაშინ თქვენ სად აპირებთ წასვლას?

ჩვენთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია: თქვენი ბინა სიძველეთა არხივია—ისტორიის შავი ფურცელია. ყველა ის, ვინც მშრომელი ხალხის ბედისათვის იბრძვის, გვერდში უნდა ამოუდგეს ამ ხალხს და მასთან ერთად აწარმოოს ქვეყნის აღმშენებლობა.

მაგრამ თქვენ არ გინდათ ეს დაინახოთ, თქვენ არ გინდათ ანგარიში გაუწიოთ სინამდვილეს, რადგან იგი თქვენი წინააღმდეგია.

კმარა ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკი, კმარა ქართველი ხალხის სისხლით ვაჭრობა. ძველი ყველაფერი არხივს ბარდება და გზას უთმობს ახალს. პროლეტარიატის დიქტატურა და წითელი დროშა თავდებია იმის, რომ მალე აღიგვება დედა-მიწის პირისაგან ბურჟუაზიის ბატონობა და ამას თან გაჰყვება ყველაფერი ის, ვისთანაც მას კავშირი აქვს.

ჩვენ კი დამშვიდებული შევხვდებით მომავალს. ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ ემიგრაციაში დარჩენილ ნამდვილ მუშებს, რომ დროა გონზე მოვიდენ (სანამ გვიან არაა), გვერდში ამოუდგენ მშრომელ ხალხს და მით თავისი ცოდვები მოინანიონ. ეს იქნება უფრო სწორი და ხალხის სასარგებლო გზა. პარიზში ჩხირკედელაობა კი დამღუპველია ქართველი ხალხისათვის, რომელსაც ერთობ ძვირად დაუჯდა თქვენი ასეთი „მოღვაწეობა“.

**სანდრო გვიმრაძე.**

# ნ უ თ უ?

გაზ. „პრავდა“-ს მე-10-ე №-მა განსაცვიფრებელი ამბავი მოიტანა.

თავის მოხსენებაში, რომელიც გაკეთებულ იქნა მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, ამხ. ნ. ბუხარინმა სხვათა შორის, სთქვა: „წარმოებს ენერგიული მუშაობა **პოლონეთში**, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების ეროვნულ ბურჟუაზიული და ფეოდალური შეჯგუფებანი, ეროვნულ თეთრ-გვარდიელნი, უკრაინის, ბელორუსიის, ბურჟუაზიული, მენშევიკური და ფედერალისტური ელემენტები საქართველოსი და სხვ.

საქმე იქამდე მიდის, რომ მენშევიკებმა დასვეს და დადებითად გადასწყვიტეს საკითხი საქართველოში აჯანყების შესახებ.

არის უდაო ცნობები, რომ აჯანყება დაკავშირებული იქნება პოლონეთის ან რომინიის გამოსვლასთან. შესაძლოა იგი ადრეც მოხდეს“.

ასეთ ცნობას იძლევა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ფრიად პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

ეჭვს გარეშეა, ყოველ ქართველში, რომელსაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, ეს ცნობა უდიდეს განცვიფრებას გამოიწვევს: როგორ, აგვისტოს ამბების შემდეგ კიდევ აჯანყება?

**ეს დაუჯერებელი ამბავია და** მას ჩვენში არავინ დაიჯერებდა, არავინ ყურს არ ათხოვებდა, რომ ჩვენ თვალწინ არ გვქონდეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ერთი: განცხადებას აკეთებს უაღრესად პასუხისმგებელი პირი, რომლის ყოველი სიტყვა და ნაბიჯი (?) მოფიქრებული და წინდახედულია. მეორე: ჩვენ გვაქვს წარსულში პრეცედენტი—1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომელიც ყველასათვის, ვინც არსებულ პირობებს ოდნავ მაინც იცნობდა, **დაუჯერებელი იყო** და მიუხედავად ამისა, **მაინც მოხდა.**

აქვს თუ არა რაიმე შანსები აჯანყებას ჩვენში?—**არავითარი.** ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს არსებულ ძალთა განწყობილების უბრალო გათვალისწინება. მოვიგონოთ 1921 წლის თებერვალ-მარტის დღეები და შევადაროთ ისინი დღევანდელ მდგომარეობას.

საქართველო მაშინ დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ნ. ჟორდანიას მთავრობას ჰყავდა ჯარი და გვარდია. მის ხელში იყო მთელი სახელმწიფოს აპარატი, ჰქონდა ნივთიერი საშუალებანი და სარგებლობდა გარკვეული წრეების თანაგრძნობით. მიუხედავად ამისა, ის დამარცხდა. დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

ახლა ვიკითხოთ: დღეს, როდესაც „დემოკრატიულ მთავრობას“ არა ჰყავს არც ერთი ჯარისკაცი, არა აქვს ხელთ სახელმწიფოს აპარატი და გახიზნულია უცხო ქვეყანაში, განა მეტი შანსები აქვს „გამარჯვების?“ რა თქმა უნდა, არა.

1921 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ძირ-ფესვიანად შეიცვალა. დღეს საქართველოში გარდა კომუნისტებისა, არავითარი პოლიტიკური პარტია არ არსებობს და თუ რომელმე პოლიტიკური პარტიის ანტიბოლშევიკური ნაშთები სადმე კიდევ დარჩენილა, ის არავითარ ძალას არ წარმოადგენს.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები **სრულიად განადგურდენ. იმავე დროს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება 1921 წელთან შედარებით ასჯერ უფრო გაძლიერდა მთელს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ, საქართველოში.** ცხადია, როცა ერთი მხარე **ნადგურდება ხოლმე, მეორე ყოველ დღე ძლიერდება--პირველის აჯანყება წარმოუდგენელია.**

საბჭოთა კავშირს შეუძლია თოფ-ქვეშ იყოლიოს სამჯერ მეტი კაცი, ვიდრე ჩვენ ვართ სულ საქართველოში. აბის შემდეგ სიგიჟე არ იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ზანოჯაში აჯანყებით ის დასცემს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს საბჭოთა უზარმაზარ კავშირში?!

რუსეთში სამოქალაქო ომი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

საბჭოთა რუსეთს ყოველ მხრით უტევდენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. სოციალისტი, ბურჟუა, მონარქისტი, ღენერალი და ყოფილი ტერორისტი ყველა ბედს ცდიდა, ყველა იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. რა გამოვიდა? შედეგები ფრიად ორიგინალური და დამაფიქრებელია:

**1) განადგურდენ ყველა ის ძალები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდენ.**

**2) სახალხო მეურნეობა ერთიანად მოიშალა. ქვეყანა გალატაკდა.**

**3) ბოლშევიკები უფრო შემჭიდროვდენ და გაძლიერდენ.**

ერთი სიტყვით, **ანტი-საბჭოთა ძალებმა მიიღეს შედეგები დიამეტრალურად საწინააღმდეგო იმის. რასაც ისინი მიზნად ისახავდენ.**

შეიძლება ვინმემ იფიქროს აჯანყება რომ მოხდეს —დაგვეხმარებიანო. ასეთი იმედი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როცა დემოკრატიული საქართველო ფეხზე იდგა,სახელმწიფოს წარმოადგენდა, ყავდა თავისი შეიარაღეული ძალა და სხვ. მას არავინ დაეხმარა. დღეს დავიჯეროთ, რომ ევროპის იმპერიალისტები ისეთი უანგარო ხალხია, რომ „დემოკრატიულ მთავრობას“ ყველაფრით დაეხმარებიან?

არა. ამას ჩვენ ვერ დავიჯერებთ.

ახლა დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა **საგარეო გართულება**, რომელსაც, როგორც ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან სჩანს. უკავშირებენ აჯანყებას?

უკვე აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ თუ ომი შესაძლებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, მით უფრო შესაძლებელია ის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. აქედან აშკარაა, კითხვაზე შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის საგარეო გართულება—ომი,—ჩვენ უნდა მივუგოთ დადებითათ:

დიახ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის საგარეო **გართულება—ომი შესაძლებელია**.

საბჭოთა წესწყობილება უარყოფს იმ საღმრთო პრინციპებს, რომლებზედაც დამყარებულია ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები. თვით ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისა არის უდიდესი დემონსტრაცია იმ გარემოების, რომ რეაქციის ფრონტი გარღვეულია.

ყოველი მიღწევა, რომელსაც ადგილი ექნება საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტურ აღმშენებლობაში, არის სოციალიზმის იდეების საუკეთესო აგიტაცია ევროპის მუშათა წრეებში და, მაშასადამე, იგი არის უდიდესი მუქარა ბურჟუაზიის ბატონობისათვის მთელს მსოფლიოში.

ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ კომპარტია და კომინტერნი მხარს უჭერენ და ყოველი მხრივ ეხმარებიან რევოლიუციონურ მოძრაობას მთელს დედამიწაზე.

ყოველივე ამის გამო ევროპის ბურჟუაზიას აქვს სრული საფუძველი ჭირივით სძულდეს საბჭოთა კავშირი და მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდეს მას ხელი შეუშალოს, იგი დასცეს და გაანადგუროს.

მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა **რეალური შესაძლებლობა.**

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ქვეყანაა, მას აქვს უდიდესი შესაძლებლობანი. მას ადვილათ ხელს ვერავინ წამოჰკრავს, საბჭოთა კავშირის ირგვლივ არც ერთი პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო არ არის, მის გარშემო არის შედარებითი პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც თვითარსებობის ინსტინქტი უკარნახებთ მეტად ფრთხილად იყვნენ საბჭოთა კავშირთან.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად საჭიროა **უდიდესი კოალიცია**.ეს კი მოასწავებს მეორე საერთაშორისო იმპერიალისტური ომის გამოწვევას. ყველა იმ ფიზიკურ და ნივთიერ განადგურებათა შემდეგ, რაც პირველმა საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა სხვადასხვა სახელმწიფოებს მოუტანა, იმ პოლიტიკურ პერტურბაციების შემდეგ, რაც ამ ომს შედეგად მოჰყვა—საერთაშორისო იმპერიალისტური ომის **მეორე გამოცემა** მეტად სახიფათო საქმეა. მის განმეორებას ადვილად ვერ გაბედავენ თვით ის სახელმწიფოები, რომლებიც მომავალი ომებისათვის გაშმაგებით ემზადებიან.

მაშასადამე: 1. **ის უდიდესი კრიზისი და განადგურებანი, რაც საერთაშორისო იმპერიალისტურ ომს მოჰყვა და რაც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის—აი ერთი უმთავრესი მიზეზი იმის, თუ რატომ ეძნელება იმპერიალისტურ ევროპას საბჭოთა კავშირთან ჯვაროსნული ომი.**

2)ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებობს უდიდესი წინააღმდეგობანი. ყოველ მათგანს აქვს თავისი ანგარიშები თავის მეზობლებთან, დავა და უთანხმოებანი. ეს ძლიერ ხელს უშლის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთი მთლიანი მებრძოლი ფრონტის შექმნას.

3) დღეს რომ საერთაშორის იმპერიალისტური ომი ისევ ატყდეს—წარმოუდგენელია ევროპის მუშათა კლასი ისევ აყვეს თავის ბურჟუაზიას, როგორც ეს 1914 წელში მოხდა.განსაკუთრებით წარმოუდგენელია, რომ ის გვერდში ამოუდგეს თავის ბურჟუაზიულ მთავრობებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

4) ევროპის ბურჟუაზიას **სძულს საბჭოთა ხელისუფლება**, მაგრამ **უყვარს საბჭოთა სიმდიდრე**. ამიტომ ევროპის ბურჟუაზიის საქმიანი წრეები ადგებიან ასეთ გზას, ისინი ცდილობენ დატუქსონ კომუნისტური მოძრაობა თავის ქვეყნებში, ხოლო იმავე დროს უახლოვდებიან საბჭოთა კავშირს ეკონომიურ შეთანხმებათა ნიადაგზე. ეს გარემოება ხელს უშლის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომების დაწყებას.

5) საბჭოთა ხელისუფლებას, რომლის ხელთ არის უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა, შეუძლია **გააკეთოს, თუ** ამას მოითხოვს ძალთა რეალური განწყობილება, ისეთი დიპლომატიური და პოლიტიკური მანევრები, რომლებსაც შეუძლია ჩაშალოს მრავალი სახიფათო კომბინაცია.

6) საბჭოთა კავშირი არ არის განიარაღებული ქვეყანა. მას ჰყავს თავისი წითელი არმია, რომელიც წარმოადგენს არა მარტო შეიარაღებულ ძალას, არამედ რევოლიუციის არმიას და, მაშასადამე, არის ორმაგი საფრთხე ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის.

ყოველივე ეს და სხვა მრავალი პირობა და მიზეზი ხელს უშლის იმპერიალისტებს დაიწყონ ჯვაროსნული ომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს არის უბრალო მოსაზრება და სინამდვილეს არ შეეფერება, ვთქვათ შეიქმნა მთლიანი ანტი-საბჭოური ფრონტი ბალტიის ზღვიდან ბოსფორამდე დაიწყო::

**Бабка за дедку,**
**Дедка за репку.**

გამოვიდენ აქტიურად პოლონეთი, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონია რუმინია და სხვ. ვსთქვათ დაიწყო ომი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში? ამაზე პასუხის გაცემა ადვილია, როცა ომები იწყებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, ყველა ხეირიანი სოციალისტი ომის წინააღმდეგი იყო, ყველას სავალდებულოდ მიაჩნდა ომის წინააღმდეგ ბრძოლა, ასე იყო ვიდრე სოციალისტურ ინტერნაციონალში 1914 წელს ტყვინის ძვრა არ მოხდებოდა, ვიდრე სოციალისტური ინტერ-

# ვინ გვეძახის „ქართველი ხალხის“ მტერს

საქართველოდან გაქცეული, ცხოვრების მიერ გარიყული ხალხი, რომლებსაც ევროპაში მოუკალათებიათ და ბურჟუაზიის სამსახურს ეწევიან, ჩვენ „მუშათა კომისიის“ წევრებს გამცემლებს და მოღალატეებს გვიწოდებენ.

ისინი ყოველ მოხვეულში ჩვენზე ანთხევენ შხამს და ჩვენ „ქართველი ხალხის მოღალატეებად“ გვნათლავენ. მაგრამ საკითხავია, ვინ არის მართლა მოღალატე, ჩვენ, რომლებიც საქართ.-ოს მშრომელ ხალხთან, მუშებთან და გლეხებთან ერთად ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას, თუ ისინი, ვინც გვერდში ამოსდგომია საერთაშორისო ბურჟუაზიას,და ყოველგვარ ბნელ ძალას,რომელიც მიმართულია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ?

და პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ემიგრაცია ასცდა რევოლიუციონურ გზას და მთლიანად შესდგა კონტრ-რევოლიუციის გზაზე. ისინი თავისი მოქმედებით გვერდში ამოუდგენ ბურჟუაზიას და კიდევ მეტი, უსინდისოდ ასრულებენ ბურჟუაზიის დირექტივებს.

ემიგრაცია მოექცა რეაქციონურ ბანაკში და მით მან თავის-თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ფაშისტურად განწყობილმა ემიგრაციამ დაჰკარგა ყოველივე ნდობა ქართველ მშრომელ ხალხში და, თუ კიდევ ზოგიერთები აქა-იქ უჯერებენ რამიშვილების ჭორებს, ესენი არიან გზა აბნეული, ცხოვრების მიერ განწირული ხალხი, რომელთაც ქართველი მშრომელი ხალხის ბედი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს მათთვის სასარგებლო იქნება.

მუშათა კომისია მუშაობს მთელი თავის ძალ-ღონით, მუშაობს და იმუშავებს ქართველი მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. მუშათა კომისიამ თავის გარშემო შემოიკრიბა მრავალი ძველი მუშები, ბრძოლაში ნაცადი რევოლიუციონერები, გვერდშიდ ამოუდგა მშრომელი ხალხის მთავრობას და მასთან ერთად იწყო თავდადებული მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ალბად დღესაც მოიძებნებიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც სჯერათ რამიშვილის სასწაულთმოქმედება და მით ხაფანგში ებმებიან. ჩვენი ვალია ყველა გზააბნეული სწორ გზაზე დავაყენოთ და მით ხელი შევუწყოთ საერთო საქმეს.

ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა „მუშათა კომისიამ“, ეს ნათელია ყველა იმათთვის, ვისაც თვალნი ხედვათ აქვთ, და ყურნი სმენად.

დეე, ემიგრაციამ გვლანძღოს ჩვენ, დეე, გვიძახონ მათ ჩვენ მოღალატეები და გამცემლები. ამის ჩვენ არ გვეშინია. ხალხი დააფასებს ჩვენ მუშაობას და შესაფერის მსჯავრსაც დასდებს მას. ალბად შორს აღარ არის ის დრო, როდესაც დაჰკრავს ზარი საერთაშორისო რევოლიუციისა და მაშინ თქვენ სად აპირებთ წასვლას?

ჩვენთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია: თქვენი ბინა სიძველეთა არხივია—ისტორიის შავი ფურცელია. ყველა ის, ვინც მშრომელი ხალხის ბედისათვის იბრძვის, გვერდში უნდა ამოუდგეს ამ ხალხს და მასთან ერთად აწარმოოს ქვეყნის აღმშენებლობა.

მაგრამ თქვენ არ გინდათ ეს დაინახოთ, თქვენ არ გინდათ ანგარიში გაუწიოთ სინამდვილეს, რადგან იგი თქვენი წინააღმდეგია.

კმარა ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკი, კმარა ქართველი ხალხის სისხლით ვაჭრობა. ძველი ყველაფერი არხივს ბარდება და გზას უთმობს ახალს. პროლეტარიატის დიქტატურა და წითელი დროშა თავდებია იმის, რომ მალე აღიგვება დედა-მიწის პირისაგან ბურჟუაზიის ბატონობა და ამას თან გაჰყვება ყველაფერი ის, ვისთანაც მას კავშირი აქვს.

ჩვენ კი დამშვიდებული შევხვდებით მომავალს. ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ ემიგრაციაში დარჩენილ ნამდვილ მუშებს, რომ დროა გონზე მოვიდენ (სანამ გვიან არაა), გვერდში ამოუდგენ მშრომელ ხალხს და მით თავისი ცოდვები მოინანიონ. ეს იქნება უფრო სწორი და ხალხის სასარგებლო გზა. პარიზში ჩხირკედელაობა კი დამღუპველია ქართველი ხალხისათვის, რომელსაც ერთობ ძვირად დაუჯდა თქვენი ასეთი „მოღვაწეობა“.

**სანდრო გვიმრაძე.**

# ნ უ თ უ?

გაზ. „პრავდა“-ს მე-10-ე №-მა განსაცვიფრებელი ამბავი მოიტანა.

თავის მოხსენებაში, რომელიც გაკეთებულ იქნა მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, ამხ. ნ. ბუხარინმა სხვათა შორის, სთქვა: „წარმოებს ენერგიული მუშაობა **პოლონეთში,** სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების ეროვნულ ბურჟუაზიული და ფეოდალური შეჯგუფებანი, ეროვნულ თეთრ-გვარდიელნი, უკრაინის, ბელორუსიის, ბურჟუაზიული, მენშევიკური და ფედერალისტური ელემენტები საქართველოსი და სხვ.

საქმე იქამდე მიდის, რომ მენშევიკებმა დასვეს და დადებითად გადასწყვიტეს საკითხი საქართველოში აჯანყების შესახებ.

არის უდაო ცნობები, რომ აჯანყება დაკავშირებული იქნება პოლონეთის ან რუმინიის გამოსვლასთან. შესაძლოა იგი ადრეც მოხდეს“.

ასეთ ცნობას იძლევა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი **ხელმძღვანელი** და ფრიად პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

ეჭვს გარეშეა, ყოველ ქართველში, რომელსაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, ეს ცნობა უდიდეს განცვიფრებას გამოიწვევს: როგორ, აგვისტოს ამბების შემდეგ კიდევ აჯანყება?

**ეს დაუჯერებელი ამბავია და მას ჩვენში არავინ დაიჯერებდა,** არავინ ყურს არ ათხოვებდა, რომ ჩვენ თვალწინ არ გვქონდეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ერთი: განცხადებას აკეთებს უაღრესად პასუხისმგებელი პირი, რომლის ყოველი სიტყვა და წიაადადება მოფიქრებული და წინდახედულია. მეორე: ჩვენ გვაქვს წარსულში პრეცედენტი—1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომელიც ყველასათვის, ვინც არსებულ პირობებს ოდნავ მაინც იცნობდა, **დაუჯერებელი იყო** და მიუხედავად ამისა, **მაინც მოხდა.**

აქვს თუ არა რაიმე შანსები აჯანყებას ჩვენში?—**არავითარი.** ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს არსებულ ძალთა განწყობილების უბრალო გათვალისწინება. მოვიგონოთ 1921 წლის თებერვალ-მარტის დღეები და შევადაროთ ისინი დღევანდელ მდგომარეობას.

საქართველო მაშინ დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ნ. ჟორდანიას მთავრობას ჰყავდა ჯარი და გვარდია. მის ხელში იყო მთელი სახელმწიფოს აპარატი, ჰქონდა ნივთიერი საშუალებანი და სარგებლობდა გარკვეული წრეების თანაგრძნობით. მიუხედავად ამისა, ის დაიარცხდა. დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

ახლა ვიკითხოთ: დღეს, როდესაც „დემოკრატიულ მთავრობას“ არა ჰყავს არც ერთი ჯარისკაცი, არა აქვს ხელთ სახელმწიფოს აპარატი და გახიზნულია უცხო ქვეყანაში, განა მეტი შანსები აქვს „გამარჯვების?“ რა თქმა უნდა, არა.

1921 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ძირ-ფესვიანად შეიცვალა. დღეს საქართველოში გარდა კომუნისტებისა, არავითარი პოლიტიკური პარტია არ არსებობს და თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ანტიბოლშევიკური ნაშთები სადმე კიდევ დარჩენილა, ის არავითარ ძალას არ წარმოადგენს.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები **სრულიად განადგურდენ. იმავე დროს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება 1921 წელთან შედარებით ასჯერ უფრო გაძლიერდა მთელს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ, საქართველოში.** ცხადია, როცა **ერთი მხარე ნადგურდება ხოლმე, მეორე ყოველ დღე ძლიერდება--პირველის აჯანყება წარმოუდგენელია.**

საბჭოთა კავშირს შეუძლია თოფ-ქვეშ იყოლიოს სამჯერ მეტი კაცი, ვიდრე ჩვენ ვართ სულ საქართველოში. ამის შემდეგ სიგიჟე არ იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ზანოჯაში აჯანყებით ის დასცემს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს საბჭოთა უზარმაზარ კავშირში?!

რუსეთში სამოქალაქო ომი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

საბჭოთა რუსეთს ყოველ მხრით უტევდენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. სოციალისტი, ბურჟუა, მონარქისტი, ღენერალი და ყოფილი ტერორისტი ყველა ბედს ცდიდა, ყველა იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. რა გამოვიდა? შედეგები ფრიად ორიგინალური და დამაფიქრებელია:

**1) განადგურდენ ყველა ის ძალები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდენ.**

**2) სახალხო მეურნეობა ერთიანად მოიშალა. ქვეყანა გალატაკდა.**

**3) ბოლშევიკები უფრო შემჭიდროვდენ და გაძლიერდენ.**

ერთი სიტყვით, **ანტი-საბჭოთა ძალებმა მიიღეს შედეგები დიამეტრალურად საწინააღმდეგო იმის, რასაც ისინი მიზნად ისახავდენ.**

შეიძლება ვინმემ იფიქროს აჯანყება რომ მოხდეს—დაგვეხმარებიანო. ასეთი იმედი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როცა დემოკრატიული საქართველო ფეხზე იდგა, სახელმწიფოს წარმოადგენდა, ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალა და სხვ. მას არავინ დაეხმარა. დღეს დავიჯეროთ, რომ ევროპის იმპერიალისტები ისეთი უანგარო ხალხია, რომ „დემოკრატიულ მთავრობას“ ყველაფრით დაეხმარებიან?

არა. ამას ჩვენ ვერ დავიჯერებთ.

ახლა დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა **საგარეო გართულება,** რომელსაც, როგორც ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან სჩანს. უკავშირებენ აჯანყებას?

უკვე აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ თუ ომი შესაძლებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, მით უფრო შესაძლებელია ის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. აქედან აშკარაა, კითხვაზე შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირისა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის საგარეო გართულება—ომი,—ჩვენ უნდა მივუგოთ დადებითად:

დიახ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის საგარეო **გართულება—ომი შესაძლებელია.**

საბჭოთა წესწყობილება უარყოფს იმ საღმრთო პრინციპებს, რომლებზედაც დამყარებულია ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები. თვით ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისა არის უდიდესი დემონსტრაცია იმ გარემოების, რომ რეაქციის ფრონტი გარღვეულია.

ყოველი მიღწევა, რომელსაც ადგილი ექნება საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტურ აღმშენებლობაში, არის სოციალიზმის იდეების საუკეთესო აგიტაცია ევროპის მუშათა წრეებში და, მაშასადამე, იგი არის უდიდესი მუქარა ბურჟუაზიის ბატონობისათვის მთელს მსოფლიოში.

ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ კომპარტია და კომინტერნი მხარს უჭერენ და ყოველი მხრივ ეხმარებიან რევოლიუციონურ მოძრაობას მთელს დედამიწაზე.

ყოველივე ამის გამო ევროპის ბურჟუაზიას აქვს სრული საფუძველი პირიქით სძულდეს საბჭოთა კავშირი და მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდეს მას ხელი შეუშალოს, იგი დასცეს და გაანადგუროს.

მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა **რეალური შესაძლებლობა.**

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ქვეყანაა, მას აქვს უდიდესი შესაძლებლობანი. მას ადვილათ ხელს ვერავინ წამოჰკრავს, საბჭოთა კავშირის ირგვლივ არც ერთი პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო არ არის, მის გარშემო არის შედარებითი პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც თვითარსებობის ინსტინქტი უკარნახებთ მეტად ფრთხილად იყვნენ საბჭოთა კავშირთან.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად საჭიროა **უდიდესი კოალიცია.** ეს კი მოასწავებს მეორე საერთაშორისო იმპერიალისტური ომის გამოწვევას. ყველა იმ ფიზიკურ და ნივთიერ განადგურებათა შემდეგ, რაც პირველმა საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა სხვადასხვა სახელმწიფოებს მოუტანა, იმ პოლიტიკურ პერტურბაციების შემდეგ, რაც ამ ომს შედეგად მოჰყვა—საერთაშორისო იმპერიალისტური ომის **მეორე გამოცემა** მეტად სახიფათო საქმეა. მის განმეორებას ადვილად ვერ გაბედავენ თვით ის სახელმწიფოები, რომლებიც მომავალი ომებისათვის გაშმაგებით ემზადებიან.

მაშასადამე: 1. ის **უდიდესი კრიზისი და განადგურებანი, რაც საერთაშორისო იმპერიალისტურ ომს მოჰყვა და რაც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის—აი ერთი უმთავრესი მიზეზი იმის, თუ რატომ ეძნელება იმპერიალისტურ ევროპას საბჭოთა კავშირთან ჯვაროსნული ომი.**

2)ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებობს უდიდესი წინააღმდეგობანი. ყოველ მათგანს აქვს თავისი ანგარიშები თავის მეზობლებთან, დავა და უთანხმოებანი. ეს ძლიერ ხელს უშლის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთი მთლიანი მებრძოლი ფრონტის შექმნას.

3) დღეს რომ საერთაშორის იმპერიალისტური ომი ისევ ატყდეს—წარმოუდგენელია ევროპის მუშათა კლასი ისევ აყვეს თავის ბურჟუაზიას, როგორც ეს 1914 წელში მოხდა.განსაკუთრებით წარმოუდგენელია, რომ ის გვერდში ამოუდგეს თავის ბურჟუაზიულ მთავრობებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

4) ევროპის ბურჟუაზიას **სძულს საბჭოთა ხელისუფლება,** მაგრამ **უყვარს საბჭოთა სიმდიდრე.** ამიტომ ევროპის ბურჟუაზიის საქმიანი წრეები ადგებიან ასეთ გზას, ისინი ცდილობენ დატუქსონ კომუნისტური მოძრაობა თავის ქვეყნებში, ხოლო იმავე დროს უახლოვდებიან საბჭოთა კავშირს ეკონომიურ შეთანხმებათა ნიადაგზე. ეს გარემოება ხელს უშლის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომების დაწყებას.

5) საბჭოთა ხელისუფლებას, რომლის ხელთ არის უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა, შეუძლია გააკეთოს, თუ ამას მოითხოვს ძალთა რეალური განწყობილება, ისეთი დიპლომატიური და პოლიტიკური მანევრები, რომლებსაც შეუძლია ჩაშალოს მრავალი სახიფათო კომბინაცია.

6) საბჭოთა კავშირი არ არის განიარაღებული ქვეყანა. მას ჰყავს თავისი წითელი არმია, რომელიც წარმოადგენს არა მარტო შეიარაღებულ ძალას, არამედ რევოლიუციის არმიას და, მაშასადამე, არის ორმაგი საფრთხე ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის.

ყოველივე ეს და სხვა მრავალი პირობა და მიზეზი ხელს უშლის იმპერიალისტებს დაიწყონ ჯვაროსნული ომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს არის უბრალო მოსაზრება და სინამდვილეს არ შეეფერება, ვთქვათ შეიქმნა მთლიანი ანტი-საბჭოური ფრონტი ბალტიის ზღვიდან ბოსფორამდე დაიწყო::

Бабка за дедку,
Дедка за репку.

გამოვიდენ აქტიურად პოლონეთი, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონია რუმინია და სხვ. ვსთქვათ დაიწყო ომი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში? ამაზე პასუხის გაცემა ადვილია, როცა ომები იწყებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, ყველა ხეირიანი სოციალისტი ომის წინააღმდეგი იყო, ყველას სავალდებულოდ მიაჩნდა ომის წინააღმდეგ ბრძოლა, ასე იყო ვიდრე სოციალისტურ ინტერნაციონალში 1914 წელს ტვინის ძვრა არ მოხდებოდა, ვიდრე სოციალისტური ინტერ-

ნაციონალის ბელადები და თვალსაჩინო წევრები მონარქებს გვერდში არ ამოუდგებოდნენ.

აშკარაა, ყოველი სოციალისტი, რომელსაც სოციალისტურ სინდისზე მთლად ხელი არ აუღია, უნდა იყოს მთელი თავისი არსებით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საერთოდ და განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საბჭოთა კავშირს ემუქრება. მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა, რომ ასეთი ომი არ მოხდეს, ხოლო თუ იგი მოხდა, ის უნდა ჩადგეს საბჭოთა ქვეყნის დამცველთა პირველ რიგებში. **სხვა გზა სოციალისტისათვის აქ არ არსებობს.**

პოლონეთი-რუმინია ვერ დაისახავს მიზნად რუსეთის დაპყრობას. ეს ხომ საშინელი უტოპია იქნებოდა. მათი მიზანი იქნება ჩამოგლიჯონ საბჭოთა კავშირს ახალი ნაჭრები, ახალი ოლქები. ამ მხრით მათ გააკეთეს წარსულში ერთგვარი ექსპერიმენტი. რუმინიამ მიითვისა ბესარაბია, ხოლო პოლონეთმა რამდენიმე მილიონი წმინდა რუსული მოსახლეობა. ასეთ პირობებში ამ სახელმწიფოების ახალი ტერიტორიალური გაფართოება საბჭოთა კავშირის ხარჯზე უდაოა გამოიწვევს რუსეთის ინტელიგენციაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მის ნაწილშიაც კი უდიდეს პარტიულ აღტყინებას, ხოლო თუ მათ უკან გამოაყოლეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ან კირილ ვლადიმერის ძე მათი დამქაშებით—საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ნაწილი ინტელიგენციიანურთ, როგორც ერთი კაცი, იარაღით გამოვა. ასეთი იქნება ამ სახელმწიფოების შეტევის აუცილებელი შედეგი.

მაგრამ ვსთქვათ ევროპის იმპერიალისტებმა მიზნად დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კიდეც მიაღწიეს მას. როგორ ფიქრობთ, იმპერიალისტები, რომლებმაც თავის ფულით, იარაღითა და ჯარით საბჭოთა ხელისუფლება დასცეს—რუსეთში სოციალისტებს წამოასკუპებენ სათავეში? **ეს შეუძლებელია.** ამ შემთხვევაში გამარჯვების **ყველაზე მეტი შანსები აქვს მონარქიას, რომელიც** არავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს არსებობას. კიდევ მეტი. დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას ვერ ურიგდებიან რუსეთის კადეტები და ვერც რუსეთის ესერები და მენშევიკები. ასეთია ფაქტები.

ასეთ პირობებში ჭკუაზე მყოფი ადამიანი განა იფიქრებს, რომ ომს საქართველოს ბედი დაუკავშიროს?! ცამდე მართალია ირ. წერეთელი, როცა ამბობს: „**თუ რუსეთს ვაგრძნობინეთ, რომ ყოველ გართულების დროს ჩვენგან ხიფათს მოელის, იცოდეთ საშინელ ბედს მოუმზადებთ ჩვენს ხალხს**".

ამნაირად აჯანყება, იქნება იგი დაკავშირებული საგარეო გრთულებასთან, თუ დამოუკიდებლად იწარმოებს,—არის საშინელი პროვოკაცია და ავანტიურა, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დაატეხს უმაგალითო უბედურებას.

აჯანყების მოწყობა, საგარეო გართულებით სარგებლობა და სხვ. არის არა **სააქაო**, არამედ **საიქიო** (თუ საიქიოს) ტაქტიკა. იქ ევროპაში ადვილია ადამიანი დაჯდეს, მაგარი წერილები სწეროს და სხვადასხვა გეგმები შეადგინოს, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში ევროპიდან გამოგზავნილი უხეირო რეცეპტით მუშაობა შეუძლებელია და ქვეყნის დაღუპვისა და განადგურების მეტს არაფერს მოიტანს. ამას მოწმობს 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების ფინალი და მასთან დაკავშირებით ჩვენი ინტელიგენციის ოფიციალური დეკლარაციები.

ამიტომ **ჩვენმა ინტელიგენციამ, ყოველმა მუშამ და გლეხმა, ყოველმა ქართველმა თავის სოციალისტურ და ეროვნულ მოვალეობათ უნდა დაისახოს—არ წამოეგოს პროვოკაციის ანკესზე, არ ათხოვოს ყური უსაფუძვლო ჭორებსა და ჩურჩულს.**

**არ მიეკაროს ახლოს იმათ, ვისაც სურს 1924 წლის ავანტიურის განმეორება და ჩვენი ქვეყნის უდიდეს განსაცდელსა და საფრთხეში ჩაგდება.**

მაშ ასე. **გსურს აჯანყება? დაიმახსოვრე:**

**1) განადგურდები.**

**2) ეროვნულ ღალატს ჩაიდენ და ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას ლახვარს ჩასცემ.**

**3) არავინ დაგეხმარება.**

აწ შენ იცი.

**ლეო შენგელაია.**

# „სტაბილიზაცია" ქმნილი ევროპა

**(პასუხად ევგ. გეგეჭკორის პოლიტიკურ მიმოხილვას, „ბრძოლა", № 17).**

ეს ერთი ხანია ევროპის ბურჟუაზია და მისი მემარცხენე ფრთა, საერთაშორისო მენშევიზმი, გააფთრებული იერიშებით მოდიან საბჭოთა კავშირზე.

ისინი ისტერიული ყიჟინით გაიძახიან წითელ იმპერიალიზმზე, საბჭოების ყუმბარებზე, გერმანიის რეაქციონერებთან ვითომდა შეთანხმებაზე. რეიხსტაგიდან ანათემას უთვლის ბოლშევიკებს შეიდემანი, ინგლისის კონსერვატორების ზოგი გამოჩენილი წევრები კიდეც მოითხოვენ საბჭოებთან დიპლომატიური კავშირის შეწყვეტას და სხვა.

როგორც კანტიკუნტათ პრესაშიაც იყო ცნობა, თითქოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი ახლო მომავალში აპირებს თათბირის მოწვევას, რომელსაც უნდა დაესწროს საფრანგეთი, იტალია და გერმანიაც კი ურთიერთ შორის სადავო საკითხების „მოსაგვარებლად" და, მაშასადამე, იქმნება ერთი მთლიანი ფრონტი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ დასარაზმავად.

რაშია საქმე?

მართლა ირაზმება მსოფლიო ბურჟუაზია ჩვენს წინააღმდეგ?!

რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც საბჭოთა წესწყობილება დამყარდა, მას შემდეგ, რაც ამ წყობილებამ გააუქმა კერძო საკუთრება მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიისა,—ბურჟუაზიული ევროპა და მისი მემარცხენე ფრაქცია—მენშევიზმი—ვერ ითმენს ამ წყობილებას და მუდამ ოცნებობს მის დამსხვრევას და მისი მესვეურის,—კომუნისტური პარტიის—სისხლის მორევში ჩახრჩობას. მაგრამ ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა საერთაშორისო რეაქციამ თავის საწადელს მიაღწიოს—მშრომელთა სამეფო დაამხოს?

აქ საჭიროა ცოტა შევჩერდეთ და ვიკითხოთ, რა მდგომარეობაშია დღეს ევროპის მმართველი წრეები. მართლა შეთანხმდენ ისინი? ამოიწურა მათ შორის ყოველივე უთანხმოებანი, დამყარდა ინტერესთა ჰარმონია და სოლიდარობა იმპერიალისტურად დარაზმულ სახელმწიფოთა შორის?!

უდავოა, რომ იმპერიალისტებს სუბიექტიურად ძლიერ სურთ ურთიერთ შორის საკონფლიქტო საგნების „მშვიდობიანი" წესით მოგვარება, ამიტომაც არის, რომ მათი კონგრესები,—დაწყებული ვერსალით, გენუით და გათავებული ლოკარნოთი,—ძლიერ ცდილობს „მშვიდობიანობის" დამყარებას, მაგრამ ღრმა სოციალური ფაქტორების და გარდაუვალ ისტორიულ კანონებს ემორჩილება იმპერიალიზმი და ამიტომაც ის თავის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე შინაგან წინააღმდეგობაშია მომწყვდეული (გაალმასებული კლასთა ბრძოლა შიგნით, გარეთ კი ინტერესთა შეხლა-შემოხლა ახალი ბაზრების დაპყრობისათვის), შეიარაღებული კონფლიქტებით და მტკივნეულობითი პროცესით დაათავებს თავის დრომოჭმულ სიცოცხლეს...

უდავოა, რასაკვირველია, ისიც, რომ კაპიტალისტურმა სამყარომ, აფორიაქებულმა საერთაშორისო ომებით და რევოლიუციებით, უკვე შესძლო თავი დაეხწია (დროებით) მისთვის საბედისწერო კრიტიკულ მომენტისა-

თვის. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ცენტრალური ევროპის სახელმწიფონი ომის ველზე დაეცენ და მშრომელი მასები ამ ქვეყნებისა დაიძრენ თავიანთ გაბატონებულ კლასებთან სოციალური ანგარიშის გასასწორებლად. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1919—20 წ. სწორედ ამ წლებში ეს ქვეყნები სოციალურ კატასტროფის წინაშე იდგენ. სწორედ ამ წლებში საუკეთესო ნაწილი მუშათა კლასისა ბარიკადებზე იბრძოდენ ბერლინის, ვენის და ბუდაპეშტის ქუჩებში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და საბჭოთა წყობილების დასამყარებლად,—მაგრამ ეს ბრძოლა წაგებული იქნა, ვინაიდან თვით მუშათა კლასი ვერ იყო ერთსულოვანი ამ ბრძოლაში, რადგანაც მენშევიკურმა პარტიებმა ყოველი ზომა მიიღეს, რათა მუშური რევოლუცია არ მომხდარიყო და სხვა თანასწორ პირობებში მენშევიზმის ცდა მუშური რევოლიუციის დამარცხების საქმეში, ძლიერ ნაყოფიერად გამოიყენა გაბატონებულმა კლასებმა. დიაღ, ბურჟუაზიამ დაახწია თავი 1919—20 წლების კრიზისს და შემდეგ ის შეუდგა ეგრედ წოდებულ თავის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების გამაგრება-განმტკიცებას. და მან ამ მხრივ კიდეც მიაღწია ერთნაირ მდგომარეობას. ევროპა დღეს ნაწილობრივად და დროებით სტაბილურ მდგომარეობაშია. მაგრამ ეს გამაგრება—სტაბილიზაცია—გახლავთ ხანმოკლე და უდღეური, და ეს იმიტომ, რომ ეს გიგანტიური სახელმწიფონი თავისი იმპერიალისტური ზრახვებით პერმანენტულ კონფლიქტში არიან ურთიერთ შორის. და ამ კონფლიქტების გადაწყვეტა-ამოწურვა არავითარ კონგრესებს და ნაციათა „პაციფისტურ“ ლიგებს არ ძალუძს. მაგალითად, ინტერესთა წინააღმდეგობა ამერიკასა და ინგლისს შორის თანდათანობით მწვავდება.

ერთ უმთავრეს სადავო საკითხს მსოფლიოში წარმოადგენს ნავთის საკითხი. მთელ სამყაროს მასშტაბით ნავთის პროდუქციის 70 პროცენტს ამზადებს ამერიკა. მთელ ამ ჯამიდან თვითონ ხარჯავს 60 პროცენტს. ჩვენ ვიცით, რომ ნავთის პროდუქცია თანამედროვე საეკონომიო-სამხედრო მრეწველობის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა და აი, აქ, ნავთის მრეწველობის საკითხში, ამერიკას მეტოქეობას უწევს ინგლისი. ქიშპობა ამ სახელმწიფოთა შორის ჯერ კიდევ დიპლომატიურია (გაიხსენეთ იუზის ნოტები ინგლისის წინააღმდეგ). ერთმანეთს ეცილებიან ეს ორი სახელმწიფონი როგორც სამხრეთ-ამერიკაში, ისე სპარსეთში და ევროპაშიაც კი. აგრეთვე ეს ორი სახელმწიფონი ეცილებიან ერთმანეთს ჩინეთის საკითხშიაც, რათა ეს ქვეყანა თავისი უხვი ნედლეული მასალით საფაბრიკო წარმოებისათვის ერთ-ერთ მათგანს დარჩეს. აშკარა კონფლიქტში არიან აგრეთვე ინგლისი და საფრანგეთი. და საგანი მათი დაუსრულებელი კონფლიქტისა გახლავთ პრობლემა ბატონობისა როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე მის კოლონიებში.

ალბათ მკითხველი შეამჩნევდა, რომ დიპლომატიური ბრძოლა ამ უზარმაზარ სახელმწიფოთა შორის, უკანასკნელ ხანებში მაინც, ერთობ ინტენსიურია. ინგლისი, შეიძლება ითქვას, წარმატებით და მოხერხებულად აწარმოებს საფრანგეთის იზოლიაციას. მან შესძლო, თითქმის ჩაეშალა გერმანია-საფრანგეთის დაახლოების საკითხი. ინგლისი ზურგს უმაგრებს იტალიას საფრანგეთის წინააღმდეგ კოლონიების საკითხში, თავის ორბიტში მოაქცია აგრეთვე ინგლისმა პოლონეთი და სხვა პატარა სახელმწიფონი. ამავე დროს ერთმანეთს ეჯახებიან ამერიკისა და იაპონიის ინტერესებიც. საფრანგეთ-იტალიის ინტერესთა კარდინალური სხვადასხვაობა ხომ ცნობილია ხმელთა-შუა ზღვის საკითხში. და ამიტომაც არის, რომ ამერიკა, ინგლისი, იაპონია და საფრანგეთი ინტენსიურად არვითარებენ მილიტარისტულ მრეწველობას, და ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყნების ბიუჯეტის საგრძნობი რაოდენობა სამხედრო სამზადისს ხმარდება.

აი, ასეთია დღეს ინტერესთა ჭიდილი თვით გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის.

რა მდგომარეობაშია დამარცხებული სახელმწიფონი: გერმანია, ავსტრია, ოსმალეთი?

როგორ პირობებში ჩააყენა ეს სახელმწიფონი ვერსალის ზავმა?

გერმანიამ დაჰკარგა ერთი მერვედი თავის ტერიტორიისა და 10 პროცენტი თავის მოსახლეობისა, დაჰკარგა აგრეთვე ყველა კოლონიები.

ავსტრო-უნგრეთს ეჭირა 676.617 კვ. კილომეტრი=51.390.000 მოსახლეობით. ამჟამად კი ავსტრიას უჭირავს, დაახლოვებით, ერთი მერვედი წინანდელი სივრცისა, ხოლო მოსახლეობა კი უდრის 6.412.000 სულს.

რაც შეეხება ოსმალეთის ტერიტორიის დაქუცმაცებას,—ეს დაიწყო ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის წინ და დამთავრდა ომითვე. მისი მოსახლეობა ომამდე უდრიდა 26.835.000 სულს, სივრცე უდრიდა 2.974.100 კვ. კილომეტრს. ეხლა ოსმალეთს შერჩა მხოლოდ 8.309.000 სული მოსახლეობისა. ომის შემდეგ კი მას შერჩა ერთი მეოთხედი ტერიტორიისა და ორი მეხუთედი წინანდელი მოსახლეობისა. (იხ. ვოდოვოზოვის წიგნი რუსულად: „ევროპა ომის შემდეგ“).

ყველა ზემონაჩვენები ფაქტები ნათელჰყოფენ, ერთის მხრივ უთანხმოებას თვით გამარჯვებულთა შორის, ხოლო, მეორეს მხრივ,—უფსკრულის გათხრას გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც სრული გასაგებია, რომ გერმანია მეგობრულ განწყობილებაშია საბჭოთა ქვეყნებთან. გერმანია დამარცხებული, განდევნილი დასავლეთ ევროპიდან—აღმოსავლეთ ევროპაში ეძებს თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოკავშირეს. მით უმეტეს, ეს მოკავშირე იმპერიალიზმის დაუძინებელი მტერია. აი, ეს მოკავშირე გახლავთ—საბჭოთა კავშირი. გერმანიას ამ უკანასკნელის ბაზარზე შეუძლია გამოიტანოს თავისი ფაბრიკატები, აგრეთვე ისარგებლოს ამ ქვეყნის ნედლი მასალებით. ბურჟუაზიულ გერმანიას ეწევა საბჭოთა კავშირისაკენ სწორედ ეს უმთავრესი ფაქტორი სამეურნეო ცხოვრებისა.

ვერსალის აქტმა შეაკავშირა გერმანია საბჭოებთან—ეს ფაქტი უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ამავე აქტმა დააახლოვა ახალი ოსმალეთი საბჭოებთან და ამიტომაც ინგლისი, რომელიც ცოფმორეული მუშაობს ანტისაბჭოთა კოალიციის შექმნისათვის, ვერავითარ რეალურ შედეგს ვერ მიაღწევს. მას მხოლოდ შეუძლია რუსეთის მოსაზღვრე ფინიებიააყეფოს,—პოლონეთი-რუმინია მიუსიოს საბჭოებს, მით უმეტეს, ამ სახელმწიფოებში ძალაუფლება ინგლისის დახმარებით ფაშისტურ წრეების ხელშია. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ფინიები კბილებს დაიმსხვრევენ საბჭოთა ფოლადის ზღუდეზე.

ალფესი ხელაძე.

# საუბარი

„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

თუ ეს ჭეშმარიტება იყო ქართველი ერისათვის იმ დროს, როდესაც უკვდავი შოთა სწერდა ამ უკვდავ სიტყვებს, მით უმეტეს ჭეშმარიტებაა დღეს ჩვენთვის.

რატომ?

იმიტომ რომ მსოფლიო მტაცებლები-ბურჟუაზია—ძლიერია, ჩვენ კი წარმოვადგენთ პატარა ერს, ათასი ვჭიმოთ და გავჭიმოთ, ორი მილიონიანი და ნახევარი ძლივსა ვართ და ასეთი ერი რას წარმოადგენს იმ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობა უდიდესი და უდიდესი ქარიშხალის ტალღებშია გახვეული?

ყლაპი და ყლუპი აღარ!

პატარა ერს ყოველგვარ პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილე ჰმართებს, მით უმეტეს დღევანდელს პირობებში.

რომ გადავავლოთ თვალი იმ პატარა ერების ცხოვრებას, რომლებიც დამოუკიდებელი არიან, დარწმუნდებით, რომ მათი დამოუკიდებლობა ქაღალდზე არის დაწე-

რილი, ნამდვილად კი ისინი ძალიან დამოკიდებული არიან ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც.

აიღეთ თუნდა დამოუკიდებელი პატარა რესპუბლიკები, რომლებიც აი აგერ ჩვენი თვალისწინ აღმოცენდენ: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. ქაღალდზე ისინი დამოუკიდებული არიან, სინამდვილეში კი ინგლისი ხან წალმა მოუგრეხავს მათ კისერს, ხან უკუღმა· რასაც უბრძანებს, ის უნდა აასრულონ, როგორი მთავრობაც ინგლისის ბურჟუაზიას და ლორდებს მოსწონთ, ისეთი უნდა აირჩიონ.

ეს არის დამოუკიდებლობა?

ეს არის დამოუკიდებლობის გამასხარავება, გაბითურება.

რას გვასწავლის ეს უბრალო მაგალითი?

აი რას.

ჩვენისთანა პატარა ერი სრულებით დამოუკიდებელიც რომ ჰყოფილიყო, დღეს ისეთი პირობებია, რომ უსათუოდ უნდა მიჰკედლებოდა ვისმე, რომ არ გათელილიყო და საკუთარი არსებობა შეენარჩუნებია.

„არც მარცხნით, არც მარჯვენით, არამედ საკუთარი გზით“ სიარული მხოლოდ უფსკრულში გადაგვჩეხავდა.

საქმე ახლა იმაშია, ვის უნდა მიეკედლო?

ამ საკითხს სწყვეტავს მარტო სურვილი და სიყვარული კი არა, ან გამოცდილი დიპლომატიური ხანუმას მაჭანკლობა, არამედ გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიური ურთიერთობა.

ამ ორ დიდ ბერკეტს ერთა შორის კავშირისას საქართველო თამარის დროიდანვე მიჰყავდა რუსეთისაკენ.

ევროპა თუ რუსეთი, ეს საკითხი ჩვენი წინაპრების წინაშეც იყო წამოჭრილი. მათაც მიმართეს ევროპას, მაგრამ თვითონვე დარწმუნდენ, რომ იმ სიშორეს მყოფი მოკავშირე მათ ხეირს ვერ დააყრიდა

დღეს მართალია სხვა დრო არის, გზა, მიმოსვლა იმდენად შეიცვალა, რომ რაც მაშინ ძალიან შორს იყო, ახლა მეტად მოახლოვდა: პარიზში აფრინდებით და ორი დღის, შემდეგ ტფილისში ჩამოფრინდებით.

იქნება დღეს უნდა შევიცვალოთ ჩვენი ორიენტაცია და საფრანგეთი ან ინგლისი ვარჩიოთ?

ინგლისელები ბრძანდებოდენ ჩვენში და ყველას ძალიან კარგად გვახსოვს მათი სიკეთე. სომხები და ჩვენ ერთმანეთს გადაგვკიდეს, აჭარლები მოგვისიეს, ახალციხის მაჰმადიანები და ჩვემ ერთი მეორეს დაგვაჯახეს და ჩვენის სისხლით ჯიბეებს იტენიდენ. ისეთი ჯოჯოხეთი დაატრიალეს ჩვენში რომ სილიბისტრო ჯიბლაძესაც კი ათქმევინეს ერთხელ: ამათ ისევ ნიკოლოზი ჯობდაო.

მართლაც რომ ჯობდა, რადგანაც, ნიკოლოზს არც ჭკუა ჰქონდა პატარა ერის გასათქვლეფად იმდენი არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც დიპლომატიური ხერხი და ტეხნიკა, რამდენიც იმგლისის ბურჟუაზიას.

აიღეთ ისეთი ორი დიდი მოკავშირე, როგორიც საფრანგეთი და ინგლისი. ინგლისი იმის მეცადინეობაშია, რომ საფრანგეთს როგორმე კისერი მოუგრიხოს, საფრანგეთიც იმას ოცნებობს, რომ როგორმე ინგლისი წააჩოქოს.

ჩვენისთანა პატარა ერს რას უზამდა ერთიც და მეორეც? გადაგვყლაპავდა ისე რომ უკანაც არ მოიხედავდა თან ჩამოგვძახებდა: ჰხედავ, რა ბედნიერი ხარ ჩემს კუჭში რომ იხარშები!

ევროპის ბურჟუაზიას ესაჭიროება ნედლი მასალა და ბაზარი, ჩვენ გადაგვაქცევდა კოლონიად და ვიქნებოდით მისი ყურმოჭრილი ყმა.

ევროპის ბურჟუაზია თავის კოლონიებში წარმოადგენს ნამდვილ ბატონს და ადგილობრივი მკვიდრნი აბუჩადა ჰყავს აგდებული.

რა მდგომარეობაშიაც ჩვენ ვიყავით ნიკოლოზის ხელში, ევროპის ბურჟუაზიის ხელში ჩვენი მდგომარეობა უარესი იქნებოდა.

რუსეთში მოხდა უდიდესი რევოლიუცია. თავადებისა და მემამულეების ბატონობა დაინგრა და ძალაუფლება ხელში დარჩა კომუნისტურ პარტიას.

კომუნისტური პარტია ანხორციელებს მუშების და გლეხობის იდეალს დიქტატურის გზით.

მართალია დიქტატურა მკაცრი რამ არის, მაგრამ როდესაც მტერი ბევრია და გარედან ყველა შენს დანგრევას ჰლამობს, მაშინ შაქარლამის ცოხნით ფონს ვერ გახვალთ.

როდესაც საბჭოთა რუსეთის წინაშე ყველა მტერი ქედს მოიხრის და მთელი ევროპა და ამერიკა იცნობს მას, მაშინ დიქტატურაც შეიცვლება ჩვეულებრივი სამოქალაქო წესებით.

რუსეთის ფედერაცია არა თუ თავის-თავად არის საუკეთესო ფორმა ერთა კავშირისა; ჩვენისთანა პატარა ერისეთვის ეს არის ერთად-ერთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს მყუდროებას, ჩვენს მშვიდობიანობას, განვითარებას, დაწინაურებასა და მომავალს.

მართალია ამ ფედერაციაში ბევრი რამ არის შესასწორებელი, შესაცვლელი; მაგრამ ყოველივე ეს არის მეორე ხარისხოვანი საკითხი, რომელიც ფედერაციის გახვითარების გზაზე თანდათან გადიჭრება. ერთბაშად ყველა საკითხის უნაკლულოდ გადაჭრა ასეთს დიდს ფედერაციაში ყოვლად შეუძლებელია.

ნორჩი და უდიდესი ფედერაცია აღმოცენდა საშინელი თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ურიცხი და ძლიერი მტრებით გარემოცული. რა თქმა უნდა, მას ჯერ ბევრი ნაკლი აქვს და ჯერ კიდევ დიდხანს ექნება, მაგრამ მას აქვს ერთი უდიდესი საძირკველი: მუშებისა და გლეხების ძალა-უფლება.

აი სწორეთ ეს გარემოება უკარგავს მოსვენებას მთელი ევროპის ბურჟუაზიას, რომლის მთელი სულისკვეთება ის არის, რომ საბჭოთა წყობილება როგორმე მოსპოს, დაანგრიოს.

ევროპის ბურჟუაზია მიმართავს ყოველგვარ საშუალებას; ერთ-ერთი საშუალებაა აჯანყების მოწყობა შიგნით.

სისხლი დაიღვრება, მდგომარეობა გართულდება, ზოგი დაიღუპება, ზოგი აოხრდება, სხვებს აიკლებენ,— ევროპის ბურჟუაზია რას დაეძებს! მისი სისხლი დაიღვრება თუ?

ყოველი გლეხი, ყოველი მუშა უნდა ჩაუკვირდეს კარგად დღევანდელ მდგომარეობას და კეტი დაჰკრას თავში ყველას, ვინც კი მასთან კრინტს დასძრავს აჯანყების შესახებ.

აჯანყება ჩვენი ერის დამღუპველია; აჯანყება უწინარეს ყოვლისა ჩვენი მუშისა და გლეხის განმანადგურებელია.

აჯანყება ესაჭიროებათ ჩვენი მუშებისა და გლეხების მტრებს. მუშებისა და გლეხებისათვის კი საჭიროა საბჭოთა წყობილების განმტკიცება და მშვიდი მოქალაქეობრივი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად.

ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმე მტკიცე საფუძველზე არის დამკვიდრებული. უდიდესი საერთო საქმე კეთდება, კეთდება მუშებისათვის, გლეხებისათვის და ყველა იმათთვის, ვინც საკუთარის შრომით ხელს უწყობს საერთო კეთილდღეობას.

ყოველი მუშა, ყოველი გლეხი ფხიზლად უნდა იყოს და მტკიცედ იდგეს საერთო მშვიდობიანობის საგუშაგოზე.

სრული მშვიდობიანობის სასტიკი დაცვა ჩვენ ში და საბჭოთა წყობილების განმტკიცება მუშებისა და გლეხების უდიდესი და უწმინდესი მოვალეობაა.

ივ. გომართელი.

# ექიმ ალ. ლორთქიფანიძის ხსოვნას

## (ვანო ლორთქიფანიძის სიტყვა *)

ჩვენი ალიოშა. საქართველოს მედსანშრომის კავშირის საექიმო სექციის რესპუბლიკანურ ბიუროს დავალებით უკანასკნელ სალამს გიძღვნი საქართველოს ექიმთაგან. ჩვენი, ექიმთა წრე აუწერელი მწუხარებით დაგტირის შენ, ასე უდროოთ წასულს ჩვენგან. შენ შემთხვევით არ იყავი წელს არჩეული ჩვენი ბიუროს თავმჯდომარეთ.

ხშირად ხდება, რომ ცხოვრების ტალღა ამოატივტივებს ზემოთ ულირს, უშნოს და მალე ისევ გადააგდებს უფსკრულში. შენ კი 1910 წლიდან არჩეული იყავი სხვა და სხვა საზოგადოებაში დიდ საპატიო თანამდებობაზე, რომლის დაგვირგვინება იყო ექიმთა სექციის რესპუბლიკანური ბიუროს თავმჯდომარეთ არჩევა და სადაც შენ გააჩალე შენებური მუშაობა ალგზნებული, სწრაფი, გეგმიანი. ბევრს შეუძლია იყოს კარგი მუშაკი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ცუდი, უვარგისი თავის სპეციალობაში. შენ კი იყავი კარგი მკურნალი ექიმი, მშვენიერი ადმინისტრატორი, დაიმსახურე ყოველგან თანამშრომლების სიყვარული, პატივისცემა. მკურნალ ექიმს ეძნელება შეიგნოს მნიშვნელობა პროფილაქტიკურ გადახრისა თანახმად საბჭოთა მედიცინის პრინციპებისა. შენი ოცნება კი იყო ქალაქის ცენტრალი სამკურნალო, რომლის გამგეც იყავი, გადაგეყვანა პროფილაქტიკურ გზაზე და შეგექმნა ცენტრალი პოლიკლინიკა, სადაც მუშაობა იწარმოებდა დისპანსერულ მეთოდით.

შენ არ იყავი პოლიტიკური მოღვაწე, არც ეკუთვნოდი რაიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას, მაგრამ ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეზე ადრე შეიგნე შენ, თუ როგორ უნდა ემუშავნა ქართველ ინტელიგენტს ახალ, საბჭოთა ხელისუფლებასთან. თამამად, უყოყმანოდ შეუდექი შენ მოღვაწეობა-შრომას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდან. საბჭოთა აღმშენებლობაში შენ ხედავდი იმ საფუძველს, რომლის წყალობით მოსალოდნელია ჩვენი ერის კულტურული და ეკონომიური ემანსიპაცია და თუ დღეს ქართველი ინტელიგენცია სავსებით სდგას ამ პოზიციებზე, შენც მიგიძღვის დიდი როლი ამ საქმის მოგვარებაში.

და დღეს, როდესაც საქართველოს ცაზე ისევ მოიღრუბლა, როდესაც ზოგიერთ საქართველოს უგნურ შვილს კვლავ უნდა გაიმეოროს აგვისტოს საშინელი დღეები, ჩვენი და ყველა პატარა ერების დაუძინებელი მტრების კარნახით და დავალებით, შენი წასვლა ჩვენგან მეტად მძიმეა და დიდი დანაკლისია, რადგან შენ იყავი პირში მთქმელი, მართლის მთქმელი, გამბედავი, უშიშარი ავტორიტეტების მიმართ...

დარწმუნებული იყავი ჩვენო ალიოშა, რომ შენ საქმეს ყოველ დარგში განაგრძობს საქართველოს ექიმთა წრე.

---

*) რამდენიმე დღის წინათ თბილისში დაასაფლავეს ქართველი ექიმი ალ. ქუთათელაძე. განსვენებულს სიტყვით მიმართა ამხ. ვანო ლორთქიფანიძემ, რომელიც, სხვათა შორის, შეეხო დღეს ჩვენთვის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხს: აგვისტოს ავანტიურის განმეორების შესაძლებლობას. ვინაიდან ამხ. ლორთქიფანიძის სიტყვამ ჩვენს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და ვაუგებრობა გამოიწვია, ჩვენ საჭიროდ მივაჩნია ამ სიტყვის სავსებით და უცვლელად დაბეჭდვა.

ვანო ლორთქიფანიძეს კარგათ იცნობს ქართველი საზოგადოება, როგორც ესერების პარტიის დ საქართველოს დამფუძნებელი კრების თვალსაჩინო წევრს და როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს. ის იყო აგრეთვე წევრი 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის მომწყობი და ხელმძღვანელი პარიტეტული კომიტეტისა. რედ.

# ახალ გზისკენ

საქართველოში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მისი ზრდა და განვითარება დაიწყო 1917 წლიდან.

ამ ხნიდან ის თავის არსებობის უმთავრეს მოტივად მუდამ აყენებდა თეორეტიულ მომზადებას—მარქსიზმის შესწავლას. მისი ცდა იყო პოლიტიკურ-პრაქტიკულ მუშაობაში ნაკლები მონაწილეობა მიეღო, რათა კულტურულ ორგანიზაციის მიზნებს არ გასცილებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა მეტადრე ისეთ რევოლიუციურ ხანაში, როგორიც იყო 1917—1919 წლები, როდესაც ყოველ მხრივ ბრძოლის ხმა გაისმოდა. ამასთანავე ახ. მარქს. ორგანიზაციის განვითარების მსვლელობის დროს წამოიჭრა საკითხი, თუ რომელ ინტერნაციონალის მხარეზე ყოფილიყო, რომელ კავშირში შესულიყო. ცხადია, საქართველოში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია მენშევიკების გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ასეც მოხდა. მთელი სამი წლის განმავლობაში თანდათან შორდებოდა რუსეთის სიმამდვილეს საქართველოს მუშა-გლეხობა და ახალგაზრდობა. რაც მეტად უახლოვდებოდა საქართველოს ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები, მით უფრო სიძულვილი იზრდებოდა ქართველ ახალგაზრდობაში, და ადგილობრივი პრესა, რომელიც სულ იმას გაიძახოდა, რომ მოდიან იმპერიალისტები, უნდათ მოსპონ ქართული ენა, გაანადგურონ ეროვნული კულტურა, აღადგინონ ძველი რუსეთი, დაიპყრონ, კოლონიათ გაიხადონ და სხვა, ყველა ეს კიდევ უფრო აშორებდა ქართველ ახალგაზრდობას რუსეთის პროლეტარიატისაგან. აი, ასეთი აზრებით გამსჭვალული შეხვდა ქართველი ახალგაზრდობა გასაბჭოებას. თუმცა გასაბჭოების შემდეგ იყო ცდა ლეგალურ მუშაობის და მისი მიზანი იყო წმინდა კულტურული, როგორც უპარტიო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა მხოლოდ მარქსიზმის შესწავლას, მაგრამ მას ამის საშუალება არ მიეცა, და ამიტომაც იყო, რომ კულტურული მუშაობის ასპარეზი არალეგალურ პირობებში მოექცა და აი, სწორედ ამ გზაზე შემდგარი ახალ. მარქსისტთა ორგანიზაცია მალე მოექცა მენშევიკურ პარტიის გავლენის ქვეშ.

რა იყო ამის მიზეზი? თავის-თავად ცხადია, არალეგალურ პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო მარტო კულტურული საქმიანობა. ცხოვრებამ მას პრაქტიკული საკითხები დაუყენა წინ და აქედან ის დაუკავშირდა მონათესავე ორგანიზაციას, შეუთანხმდა მას და ამის შემდეგ მენშევიკების შეცდომები—მისივე შეცდომებიცაა...

მაგრამ რა ობიექტიური პირობები იყო, რამაც შესაძლებლად გახადა ახალ. მარქსისტებს ასეთი პოზიცია დაეკავებიათ? ეს იყო გასაბჭოების პირობები და ეროვნული საკითხი, რომელიც ასე მწვავედ იდგა ჩვენს წინაშე. თვითმპყრობელობის რეჟიმი განსაკუთრებით მკაცრი იყო განაპირა ქვეყნებში, რომ ძველი რუსეთი აწარმოებდა ჩვენს მიმართ დაპყრობითი პოლიტიკას, ის ატარებდა საქართველოში რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ის ავიწროებდა ქართველ ხალხს და მის ეროვნულ-კულტურულ ინტერესებს და ამიტომაც იყო ნაციონალური საკითხი მეტად მტკივნეულ საკითხად გადაქცეული.

ამ წარსულის გამოცდილებამ და მომავლის შიშმა ხელი შეუწყო იმას, რომ საქართველოს გასაბჭოებისას ახალ. მარქსისტთა ორგანიზაცია თავის დანიშნულებას ასცდენოდა.

ასეც მოხდა; ის გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე, კადადის საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში, უცხადებს მას სასტიკ ბრძოლას, გადმოისვრის ლოზუნგს: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

მაგრამ ცხოვრებამ მალე დაგვანხვა სინამდვილე, უაზრო ბრძოლაზე მალე ავიღეთ ხელი და თანდათანობით დავრწმუნდით, რომ ოქტომბრის რევოლიუცია იყო წმინდა პროლეტარული რევოლიუცია. რომ ნაციონალური საკითხის გადეჭრის შესაძლებლობას ის უფრო იძლეოდა. ნათელი შეიქნა, რომ ევროპის კონფერენციები, დაპირე-

ზანი, მოლოდინი, იმედგამოულეველი და დაუსრულებელი იქნებოდა. დაბოლოს დავინახეთ, დავრწმუნდით, რომ კომუნისტებს არა თუ ეჯავრებათ კულტურა, სძულთ ეკონომიკა, არამედ მისი აღდგენის და განვითარებისაკენ აქვთ მთელი ყურადღება მიქცეული.

სცდებოდა მთელი თაობა, მიმართულება, მთელი ხაზი შემცდარი იყო. ამას მხოლოდ ეხლა მიხვდა ქართველი მშრომელი მასა და ახალგაზრდობა; ეს იმიტომ, რომ ახლო მივედით საბჭოთა ხელისუფლებასთან, გავიცანით აღმშენებლობა, დავუახლოვდით მას და დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა მოასწავებს საშინელი რეაქციის ხელის შეწყობას, რომ ჩვენ მის წინააღმდეგ ბრძოლით ხელს უწყობთ საერთაშორისო ბურჟუაზიის გამარჯვებას.

კომუნისტური პარტია ერთა თვითგამორკვევის პრინციპს იცავს, ის დღეს სცდილობს, რათა სულ ჩამორჩენილი პატარა ერი დიდ ერს გაუთანასწოროს და უფლება მოუპოვოს მას. ის მოუწოდებს და ყოველგვარი ზომებია მიღებული, რათა ყოველმა ჩამორჩენილმა ერებმა საბჭოთა კავშირში თავის ენაზე შექმნან, აღორძინონ დაააყვავონ ეროვნული კულტურა.

დღეს არა აქვს ადგილი ეროვნულ შუღლს, ჩაგვრას, ბრძოლას, არამედ ჩვენ ვხედავთ, რომ მტკიცეა ერთა შორის კავშირი. ქართული ენა გაბატონებულია ყველა დაწესებულებებში, ქვეყნის ეკონომიური აღორძინება წინ მიდის, მეურნეობამ დაიწყო და განაგრძობს აყვავებას, აღმშენებლობითი დარგში მუშაობა შეუწყვეტლად წინ მიიწევს. მთელი რიგი მიღწევები ჩვენს თვალწინ წარმოგვიდგება, როგორიც არის: ზაჰესი, მუშათა სახლები, რკინისგზების გაყვანა, არხებ-ს. ხიდეების აგება, გზატკეცილების გაკეთება და სხვა მრავალი.

და აი, ყველა ეს ნათელი შეიქნა ქართველ მშრომელ ახალგაზრდობისათვის, რომ დღევანდელი პირობები დიდ შესაძლებლობას იძლევა ერის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებისათვის და რომ არც ერთ სხვა ხელისუფლებას არ შეუძლია მეტის მოცემა.

გაუკეთა რა ჯამი ყოველივე ამას, ახალგაზრდა მარქსისტების დიდი ნაწილი დაუბრუნდა თავის ოჯახს და ჩაება აღმშენებლობითი მუშაობაში, მას სითამამე მიეცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისათვის. ამ ხუთი წლის წინად ეროვნულ უნდობლობის ნიადაგზე აღმოცენებულმა შიშმა გარიყა ეს ახალგაზრდობა და კონტრ-რევოლიუციონერების ბანაკში მოაქცია. დღეს კი ნაციონალური საკითხის იმგვარად გადაწყვეტამ, როგორც მოითხოვდა ამას ერის ეკონომიურ-კულტურული ინტერესები, ხელი აალებინა ამავე ახალგაზრდობას უაზრო და ავანტიურისტულ ბრძოლაზე.

საკითხის ასე გადაჭრა აღმოფხვრის საბოლოოდ იმ არალეგალურ ჯგუფებს, რომლებიც კიდევ დარჩენილან თითო-ოროლა და განაგრძობენ უაზრო ბრძოლას.

იმ ნაწილმა ახალგ. მარქსისტებისამ, რომლებიც ამ მოძრაობის გარეშე დარჩენ, უნდა სთქვან საბოლოო სიტყვა, ვინაიდან ამას მოითხოვს დღევანდელი სინამდვილე. ჩვენი მოვალეობაა მოუწოდოთ—თავი ანებონ ყოველგვარ არალეგალურ მუშაობას, ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას ახალგაზრდული ენერგიით, რევოლიუციური ენტუზიაზმით და ღრმა რწმენით, რომ ამ გზით გაიმარჯვებს საბოლოოდ მუშათა კლასი.

**შ. სანაძე.**

# თბილისის საბჭოს საქმიანობა

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის მუშათა ლკუბში მრავალრიცხოვან რკინისგზელების წინაშე მოხსენებით გამოვიდა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი ივანოვ-კავკასიელი. მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა თბილისის საბჭოს მუშაობა გასული წლის განმავლობაში. მოვიყვანოთ მოკლედ ეს საყურადღებო მოხსენება.

ჩვენს წინაშე სდგას საკითხი: გადავხედოთ თბილისის მუშების ორგანოს მუშაობას,—დაიწყო მომხსენებელმა.—ეს იმიტომ არის საჭირო, რათა მომავალმა ახალმა საბჭომ გაითვალისწინოს წარსული შეცდომები და ეს შეცდომები აღარ განმეორდეს.

რა გაკთდა. ჩვენს წინ იდგა სამი უმთავრესი საკითხი: მუშათა კლასის გამაგრება, შინაური საქმეების გამოკეთება-გაუმჯობესება და მუშათა კლასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ყველა ხსენებულ საკითხებში დიდი მიღწევები გვაქვს. ამას ლალადებს ჩვენი ბიუჯეტი, ჩვენი ხარჯთაღრიცხვა. ჩვენი ბიუჯეტი არის ჩვენი მუშაობის სარკე. ამ სარკეში ჩვენ დავინახავთ, რა გაკეთდა, როგორ გაკეთდა. აღმასრულებელი ორგანო ხელმძღვანელობდა მთელ მუშაობას. გვქონდა გამოყოფილი ხუთი უმთავრესი სექცია. ამ კომისიებში მუშაობა კოჭლობდა— არ ესწრებოდა ყველა წევრები. ნახევარზე მეტი ამხანაგი კრებაზეც არ მოდიოდა. ასეთი მოქმედება დაუშვებელია. ეს მუშაობას აფერხებდა. ეს ნაკლი უნდა მოვსპოთ, დავძლიოთ. ამას დავძლევთ საერთო მუშაობა-მეცადინეობით. უნდა ავირჩიოთ საბჭოში ღირსი და აქტიურად მომუშავე ამხანაგები. მომავალში უსათუოდ უნდა გამოვასწოროთ, გამოვაცოცხლოთ მუშაობა.

ბიუჯეტის შესახებ: აქ უმთავრესი საკითხი არის გადასახადის პოლიტიკა. როგორ იქცეოდა აქ ბურჟუაზია? ის წურბელასავით სწოვდა მუშა-მშრომელებს. ჩვენ გადასახადით დავტვირთეთ სწორედ ბურჟუაზია. ბინის გადასახადი მხოლოდ ბურჟუაზიას დავადევით. თქვენ იცით, მუშა-მშრომელები რა ცოტას იხდიან აქ. ქალაქს ჰქონდა შემოსავალი საერთოდ 1925—1926 წელს 12.874.000 მანეთი. აქედან ჩვენს ადმინისტრატიულ აპარატს დავახარჯეთ 2.173.000 მან. ეს 1925—26 წელს. შემდეგი წლისათვის ეს ხარჯი შევამცირეთ 11 პროცენტით. ახლა იხარჯება 1.730.000 მან. უდიდესი ნაწილი ჩვენი თანხებისა ხმარდება ხალხის განათლების, ჯანმრთელობის და შრომის დაცვის საქმეებზე. 1926 წელს ამ დარგებში დაიხარჯა 4.710.000 მან., 1927 წელს კი დაიხარჯება 5.400.000 მ. ქალაქის საწარმოო ხარჯები იყო 1925—1926 წელს 2.760.000 მან., 1927 წელს ამ დარგში დავხარჯავთ 7.780.000 მანეთს. ეს ციფრები ნათლად ლაპარაკობენ ჩვენი მუშაობის შესახებ. ჩვენი მუშაობის გზა-ხაზი იყო სწორი. მუშაობა თანდათან მიდის წინ, იზრდება.

ქალაქის კომუნალური დაწესებულებანი იყო დანგრეული; ტრამვაი, წყალსადენი, განათება, ელსადგურები აღვადგინეთ. დღეს ყველა ეს დაწესებულებანი იძლევიან კარგ შემოსავალს.

ტრამვაით გადავიყვანეთ 1924—1925 წელში 32 მილ. 695.000 სული; 1925—1926 წელში კი—46.194.000 სული. ასე იზრდება ტრამვაის საქმე. შარშან მუშაობდა 90 რონოდა, წელს კი 140 რონოდა მუშაობს; წყალსადენის წყაროს წყალი აღარ ეყო ქალაქს. იძულებული გავხდით მიგვემატებინა მტკვრის წყალი. ეს კი არაა სასურველი ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ამისათვის შეუდექით ახალი წყაროების გამონახვას. ასეთები აღმოჩნდენ ნატახტარში, მცხეთიდან 40 ვერსზე. ნატახტარის წყაროები მოგვცემს დღე და ღამეში 10 მილიონ ვედრო წყალს. ეს საკმარისია ჩვენი ქალაქისათვის. ამნაირად ორ წელში თბილისი უკვე იგემებს მშვენიერ და სპეციალისტებისაგან მოწონებულ წყაროს წყალს.

დღეს წყალსადენის შემოსავალმაც აიწია. გავაფართოვეთ ქსელი წყლის აბონემენტებისა. მოვაწესრიგეთ საანგარიშო ნაწილი.

განათება-ელსადგურების მდგომარეობაც გაუმჯობესდა; საცაა ამუშავდება დიდი ზაჰესი. ზაჰესზე იყო ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეული; თბილისის მუშებმა ცენტრის დახმარებით შესძლეს ამ უზარმაზარი ელსადგურის

აგება. სადგური დაჯდა 15.725.000 მანეთი თბილისამდე და აქ ქსელის მოწყობა დაჯდა 4 მილიონი მანეთი; სულ ზაჰესზე დაიხარჯა 20 მილიონამდე. 15 თებერვალს პირველი სხივი ზაჰესიდან შემოვა თბილისში. ეს გარემოება დიდ გავლენას იქონიებს მომავალ ჩვენს მუშაობაზე.

ზაჰესის დამთავრების შემდეგ ჩვენი უმთავრესი ყურადღება გადავა სხვა დარგებზე.

ქალაქის კეთილმოწყობა თუ წინათ შეეხებოდა მხოლოდ ცენტრს, ჩვენ გადავიტანეთ მუშაობის ცენტრი მუშათა უბნებში—ქალაქის განაპირა ნაწილებში.

იკირწყლება ქუჩები, გაგვყავს წყალსადენ-ელექტრონი, ვაშენებთ ბაღებს და სკვერებს, ქალაქის ირგვლივ ვაშენებთ ტყეს.

ბინის საკითხი იდგა მეტად მწვავეთ. აქაც გავილეთ ხარჯი და ავაშენეთ სახლები. ეს არ კმარა. მომავალში ორხელ და სამხელ მეტი გადაიდება ამ საქმისათვის და უნდა აშენდეს მუშებისთვის საკმაო ბინები.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ ბევრი მუშები სცხოვრობენ სარდაფებში.

ხალხის განათლების დარგში ბევრი რამ გაკეთდა.

გაიზარდა სკოლების რიცხვი, გამრავლდა მოსწავლეთა რაოდენობაც, მაგრამ აქაც კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მომხსენებელს მოჰყავს სკოლების და მასწავლებელ-მოწაფეთა ზრდის ციფრები, რაც ნათელჰყოფს ამ დარგში დიდათ წინსვლას და დიდ მიღწევებს.

სასაკლაო, აბანოები და სხვა წვრილმანი კომუნალური დაწესებულებანიც გაცოცხლდა და გაიზარდა.

რა იყო თბილისის/სახანძრო რაზმი და რა არის დღეს?

დღეს ის შეიარაღებულია საუკეთესო იარაღ-მანქანა-ხელსაწყოებით. ამ ბოლო ხანში არ ყოფილა არც ერთი საყურადღებო შემთხვევა ცეცხლისაგან განადგურებისა.

თუ შენებით ნელა მივდივართ წინ, სამაგიეროთ დაწვა-განადგურება შევაჩერეთ.

შეეხო მომხსენებელი აგრეთვე მაზრაში მუშაობას. აქაც ყველა დარგში მუშაობა წინ მიდის, მცხოვრებლები ნდობით გვიცქერის, ჩვენს მუშაობას ხედავს და აფასებს.

გვაქვს საკმაოთ საბავშვო კოლონიები. ვეხმარებით უბინაო ბავშვებს. ბევრი დავაბინავეთ, მაგრამ აქ ყველა ვერ უზრუნველვყავით. არ გაგვწვდა სალსარი, საჭიროა ყველას დახმარება, საჭიროა ყველას ყურადღება.

ჯანმრთელობა-ექიმობის დარგშიც ბევრი რამ გაკეთდა. საავადმყოფოების რიცხვი გადიდდა, დისპანსერები დაარსდა.

აფთიაქები სოფლებშიც კი გავმართეთ.

საექიმო პუნქტები გავამრავლეთ და სხვა.

სოფლის მეურნეობასაც არ ვივიწყებთ და, რაც შეგვიძლია, ხელს ვუწყობთ.

გავხსენით სააგრონომიო პუნქტები. დაურიგეთ სოფლელებს ვენახის და სხვადასხვა ხილეულობის ნერგები. მივეცით სოფელს იარაღები.

ცოტას მოვიკოჭლებთ საყოველთაოთ მიწის სარგებლობის განაწილებაში.

სოფლათ გადასახადის საქმე გამოკეთდა.

წინათ თუ ერთი ოჯახი იხდიდა 21 მანეთს, დღეს იხდის 8 მ. და 30 კ.

9.507 ოჯახი სულ განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

აი მოკლეთ ჩვენი მუშაობის სარკე.

ჩვენ გვწამს თითოეული მუშა ჩაუკვირდება ამ მუშაობას და თვით გასცემს პასუხს ჩვენს მტრებს, რომლებიც გაიძახიან, რომ არაფერი არ კეთდება და რომ ჩვენი დღენი დათვლილია.

მომხსენებელს მისცეს აუარებელი საქმიანი შეკითხვები. იყო კამათიც.

რკინისგზელები ემზადებიან საბჭოს არჩევნებისათვის.

ს. დოლიძე.

# რკინის გზაზე უბედური შემთხვევების გამო

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გახშირდა უბედური შემთხვევები. ისე კვირა არ გაივლის, რომ ერთი ან ორი ასეთი შემთხვევა არ მოხდეს.

ყველა განცვიფრებაშია, თუ როგორ ხდება ამოდენა უბედურება. მართლაც, ნუ თუ არ შეიძლება ამის თავიდან აცილება?

ყოველიკე ასეთი შემთხვევა რკინის გზებზე ძლიერ დამაფიქრებელია. მთავრობა იღებს სასტიკ ზომებს: ინიშნება კომისიები კომისიებზე, იწერება უამრავი ცირკულიარები და ბრძანებები. მაგრამ ეს საქმეს არ შველის.

საჭიროა რაღაც სხვა, უფრო რადიკალური ზომები უბედურების თავიდან ასაცილებლად. უნდა მოინახოს მთავარი მიზეზი ამ უბედურებისა.

ჩვენის აზრით, უმთავრესი მიზეზები ის არის, რომ ჩვენ ვადიდებთ მატარებლების სიმძიმეს და სიგრძეს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი ტვირთი გადავზიდოთ. ამას ვშვებით მაშინ, როდესაც საამისოთ არ არის მოწყობილი არც რკინის გზა, არც სადგურებში ლიანდაგები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ რონოდათა გადასაბმელები ძველი და სრულიად უვარგისია ასეთი მიზნების განსახორციელებლად.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურამის უღელტეხილს, ხაშურ-ზესტაფონის უბანს, ვინაიდან ასეთი სახიფათო გზა მთელ საბჭოთა კავშირში მეორე არ არის.

ისეთი შედარებით უბრალო შემთხვევები, როგორიც არის გადასაბმელის გაწყვეტა ან გახსნა, მუხრუჭების უვარგისობა და სხვა ასეთი, რაც სხვაგან იმდენ საშიშროებას არ წარმოადგენს, აქ, ხაშურ-ზესტაფონის რაიონში, ყოველთვის დიდი უბედურებით თავდება.

ამიტომ ამ რაიონს უნდა მიექცეს რკინის გზის ადმინისტრაციის მთელი ყურადღება. დაუშვებელია ის გარემოება, რომ ასეთ აღმართ-დაღმართსა და მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ორი ორთქლმავალით წაყვანა 50 რონოდისა, რაც წონით 75.000 ფუთს უდრის. ასეთ შემთხვევაში ხშირად მემანქანისა და მემუხრუჭეს ცდაც ამაოთ იკარგება, რადგანაც მიხვეულ-მოხვეულებში ასეთი ვეებერთელა მატარებელი გარბის ინერციულად და რონოდების შეჯახებ-შემოჯახების დროს ტყდება, ან იხსნება გადასაბმელი და წყდება მატარებელი.

ამ ადგილების პროფილის მიხედვით, მატარებელი უნდა იყვეს სისწორით შედგენილი. თუ ჩვენ გვექნება კარგი მუხრუჭები, რომლებიც აუცილებლივ უნდა იჭერდეს დაწესებულ ნორმას, მაშინ შესაძლოა ასეთ შემთხვევებში გაწყვეტილის ნაწილი მემუხრუჭეებმა დაამუხრუჭონ და შეაჩერონ, მაგრამ დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება ასეთი კარგი გაწყობილი რონოდები მუხრუჭებით.

უღელტეხილზე აუცილებლივ საჭიროა მატარებლების სიმძიმისა და სიგრძის მოკლება. უსათუოდ შემოღებული უნდა იქნეს ერთი წევით სვლა. ერთი ორთქლმავლით შესაძლებელია 30.000 ფუთის ჩაშვება დაღმართში კარგი და მოწყობილი 75-პროცენტიანი მუხრუჭებით. მატარებლის სიგრძე არ უნდა აღემატებოდს დატვირთულ 30 რონოდას და ცარიელები—40 რონოდას წყვილი მიმართულებით.

ეს ზომა მიღებული უნდა იქნეს მანამდე მაინც, სანამ ჩვენ სუსტი გადასაბმელები უფრო მძლავრ გადასაბმელებათ არ გადაგვიკეთებია. აგრეთვე მთელი აპარატი—ქურო და ჭილობები.

ეხლა უღელტეხილზე ხშირია მატარებლის შედგენა და რონოდების შეერთება გადასაბმელზე, რაც ჩემის აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან გადახსნა ხშირი მოვლენაა.

ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მუხრუჭები არ ვარგა და საჭირო დროს ვერ იჭერს მატარებელსო; ეს მით უფრო

საყურადღებოა, რომ მატარებლები კენტი მიმართულებით მოდიან 30-პროცენტიანი მუხრუჭით, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიჭერს მატარებელს.

1926 წ. 17 აგვისტოს ბრძანებაში (№ 2607) მოყვანილია ცხრილი, თუ როგორი და რამდენი მუხრუჭი უნდა იყოს შემადგენლობაში. მაგრამ ამას არ ასრულებენ სისწორით; მაგალითად, ზესტაფონიდან მარელისამდე მუხრუჭი ეკუთვნის ნაკლები პროცენტი, მარელისიდან ხაშურამდე 10—15 პროცენტით მეტი. მიუხედავად ამისა, მარელისიდან მატარებლები იგზავნებიან იმდენივე მემუხრუჭეებით, როგორც ზესტაფონიდან. რატომ? იმიტომ, რომ მარელისს არა ჰყავს მემუხრუჭეები. ამიტომ მარელისიდან წამოსულ მატარებელს თუ გადასაბმელი გაუწყდა, რონოდები უკან დაექანება და ვერ დაიჭერს და მატარებელი დაიმსხვრევა.

1926 წლის 17 თებერვლის ბრძანებაშიც ბევრი რამ ისეთია გათვალისწინებული, რასაც შეუძლია თუ არა მოსპობა უბედურ შემთხვევებისა, მათი შემცირება მაინც. მაგრამ ტეხნიკური მოუწყობლობის გამო, ყოველ ამას ხშირად ცვლიან კერძო შემთხვევებში განყოფილებების უფროსები და დიდ სადგურებში—მათი უფროსები.

საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება და გაძლიერდეს ტეხნიკური ზედამხედველობა.

ხაშურიდან მარელისამდე იგზავნებიან ორთქლმავლები — ფერლა-მიმწოლად კენტი მიმართულებით და ამ ორთქლმავლებს მიაქვთ თან ოთხი დატვირთული რონოდა ერთი მუხრუჭით. ხშირად მუხრუჭი მარტივია, რომლის საშუალებით ყოვლად შეუძლებელია დაჭერა რონოდებისა ორთქლმავლის დახმარებითაც. რასაკვირველია, ბრძანებით არ არის გათვალისწინებული ასეთი მოძრაობა. მხოლოდ არის დაშვებული კერძო შემთხვევებში.

სანამ არაფერი მომხდარა, ხომ კარგი, უბედური შემთხვევის შემდეგ კი დამნაშავის ძებნა საქმეს ვერ უშველის. ამ უბედურ შემთხვევებში წილი თვით მუშა-მოსამსახურეებსაც უდევთ. დისციპლინის მოშლა საერთოსენს წარმოადგენს დღეს ჩვენს გზებზე. საჭიროა პროფკავშირმა მიიღოს სათანადო ზომები, საჭიროა ხშირი კრებები და საუბრები, რათა შეიგნონ მუშებმა თავიანთი მოვალეობა.

ხშირია შემთხვევა სადგურებზე მატარებლების დაჭერისა, მორიგე სადგური ხშირად არ ღებულობს მატარებელს ადგილის უქონლობის გამო. მატარებლის დაჭერას მოჰყვება ორთქლმავლების დაჭერა და ამით დიდ სადგურებს არ შეუძლია გაუშვას მატარებლები ორთქლმავლის უქონლობის გამო.

ხაშურ-ზესტაფონის რაიონში დაბრუნებით ორთქლმავალი უნდა მუშაობდეს არა უმეტეს 16 საათისა. ახლა კი მუშაობს 24—28 საათს.

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, მატარებლების დაგვიანება გამგზავნი სადგურიდან? არის შემთხვევები, როცა ორთქლმავლებს ხაშურის სადგური ადრე ითხოვს, მაშინ, როდესაც მას მატარებელი მზად არა ჰყავს და სადგურში დგომა გიხდება 3—4—5 საათობით. ყოველივე ეს დისციპლინის მოშლის შედეგია, რისთვისაც დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში სჯიან მხოლოდ „მეისრეებს“. საჭირო კია, რომ დამსჯელი ხელი ერთნაირად სწვდებოდეს ყველა დამნაშავეებს, მათი რანგისა და ადგილის მიუხედავად.

**მემანქანე ა. კომახიძე.**

# მასიური განქორწინება და ჩვენი კანონი.

სოციალისტური თვალსაზრისით თავისუფალი ქორწინება მოწონებულია და შეუზღუდავი, მაგრამ ეს იმ დროს არის კარგი, როდესაც ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება და მასიურ განთვისებით და ოჯახის ნგრევით ცალკე მოქალაქეთა უფლებები არ შეილახება..

დღევანდელმა მასიურმა ოჯახის ნგრევამ მეტად ფართე ხასიათი მიიღო და ამ სფეროში ზოგჯერ სამწუხარო ფორმები ხდება, რომ დიდ საზოგადოებრივ დანაშაულობასაც კი აქვს ადგილი. ზოგჯერ არა თუ კერძო პირები, თვით საზოგადოების ინტერესებიც ფეხქვეშ ითელება.

საზოგადოების ინტერესების ფეხქვეშ გათელვა გამოიხატება შემდეგში: პირველ ყოვლისა, უმეტეს შემთხვევაში განთვისების დროს იჩაგრება ქალებისა და ბავშვების ინტერესები. სულ ცოტაა შემთხვევა, როცა მამაკაცის ინტერესები იჩაგრებოდეს. მანამ ქალი გასათხოვარია, იგი ბინადრობს თავის მშობლების ან თავის ახლობელ ნათესავთან, რომელიც მოვალეთ სთვლის თავს იურიდიულად, ან მორალურად უპატრონოს მას. როდესაც ქალი თხოვდება და თავის მშობლების კერას შორდება, ის უკვე ითვლება გახსხვისებულად და თუმცა ჩვენი ადათჩვეულების მიხედვით და ტრადიციით მშობლების სიყვარული გათხოვილი შვილისადმი დიდია, მაგრამ იურიდიულად მშობლები აღარ არიან მოვალე გათხოვილის წინაშე. ეს უკანასკნელი, მართალია, სრულუფლებიან მოქალაქეთ და ოჯახის წევრად ითვლება თავის მეუღლესთან, მაგრამ ქალის ასეთი მდგომარეობა არახანგრძლივია. ქმარი არჩევანში შედის. ის სხვა უფრო ლამაზს და მდიდარს, ან უფრო განათლებულ ცოლს ეძებს. და როცა ასეთ „ბედს“ მონახავს, უწინდელ ცოლს კარში აგდებს.

ეს თითქმის ღირსება-ახდილი ქალი რჩება გზაშარაზე უმწეოდ, უპატრონოდ. იქ მას ხშირად არა აქვს თავშესაფარი. ის უცხოა თვით მშობლებისთვისაც, რომლებიც ვალდებული არ არიან ის არჩინონ.

მამაკაცს კი შეუძლიან მრავალი ცოლი გამოიცვალოს. ეს მისთვის არც სამრახისია და არც საძნელო. ის განშორებული ცოლის წინაშე მოვალე არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქალი შრომის უნარს მოკლებულია. ასეთ შემთხვევაშიაც ქალი ბევრჯერ ჩვენი კანონით მისჯილ სარჩოსაც ვერ ინაღდებს, რადგან ხშირად მამაკაცს განსაზღვრული ჯამაგირი არა აქვს. ასეთი მამაკაცი თუნდაც თვალსაჩინო მდიდრულად ცხოვრობდეს, მას მაინც ძნელად თუ ვინმე რამეს გადაახდევინებს.

ჩვენის აზრით, ასეთი მამაკაცი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით.

მეორე უფრო დიდ უბედურებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა განქორწინებულებს ჰყავთ შვილები, რომლებიც უწინ მშობლების თბილ კერასთან, მათივე მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდენ.

როცა მშობლები განთვისდენ, ბავშვები რჩებიან უპატრონოთ, უმზრუნველოდ. ბევრჯერ ხდება, რომ ბავშვების საზრდოსაც მშობელი არ იხდის.

ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც საჭიროა დასჯა სისხლის სამართლის წესით ურჩი და უდიერი მშობლისა, რომელიც უდარდელათ ცხოვრობს და არ ზრუნავს თავის ბავშვებისათვის. მით უმეტეს მაშინ, როდესაც მეტად მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. საჭიროა ჩვენი კანონის შესწორება, რათა ძუძუმწოვარი ბავშვის პატრონი, ე. ი. დედა ჩაითვალოს, როგორც შრომის უნარმოკლებული, და მას ეძლიოს განსაზღვრულ დრომდე სარჩო.

მესამე—ეს განქორწინება ამრავლებს უმუშევართა რიცხვს. დედა, რომელიც გუშინ ოჯახსა და შვილებს უვლიდა, დღეს იძულებულია შრომის ბირჟაზე იაროს და სამუშევარი ეძიოს, რომ შვილიც არჩინოს და თავიც ირჩინოს. ასეთი ქალი უმეტეს შემთხვევაში ვერ შოულობს სამსახურს და სამუშაოს და იძულებული ხდება ქუჩაზე გამოვიდეს და გაროსკიპდეს. ბევრი მაგალითია, რომ ასეთი განთვისებული მხარე შეუღლდება მეორესთან და თანამშრომლობენ ერთ და იმავე დაწესებულებაში ორთავე ცოლქმარნი და შრომის ბირჟაში კი მრავალი რჩება ოჯახის მარჩენალი უმუშევრად.

რა თქმა უნდა, განქორწინებულ ქალსაც აქვს უფლება ხელახლად დაქორწინდეს, მაგრამ რა გარანტია აქვს, რომ იგი კიდევ არ იქნება ქმრისაგან მოძულებული და ქუჩაში გაგდებული? აქაც საჭიროა კანონის შესწორება, რომ მამაკაცის თავგასულობას ლაგამი ამოედოს.

განთვისებას კიდევ შემდეგი უბედურებაც მოსდევს: მაგალითად: ერთ ოჯახს სჭირდებოდა ერთი ბინა ერთსულოვანი ცხოვრების დროს, მაგრამ განთვისებულთათვის საჭიროა მეორე ბინაც და ჩვენი ბინების კრიზისის დროს ხელოვნურად ეს ელემენტები უფრო ამწვავებენ ბინის კრიზისს..

მრავალი მაგალითია იმისი, რომ მამაკაცები მიდიან სოფლებში და გულუბრყვილო გლეხის ქალიშვილზე ინიშნებიან, დიდი ზეიმით დროებას ატარებენ, შეჰყავთ გლეხის ოჯახი დიდ ხარჯში, ქალს ხდიან პატივს და ანებებენ თავს.

ასეთ შემთხვევებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და, თუმცა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით ეს სამოქალაქო ურთიერთ დამოკიდებულებათ ითვლება, მაგრამ საჭიროა შემოღებულ იქნას სისხლის სამართლის სოციალური დაცვის ღონისძიება დამნაშავის წინააღმდეგ. ამით ჩვენ არაფერ დანაშაულს არ ჩავიდენთ, რადგან ყველა ჩვენი სისხლის სამართლის კანონი არის დროებითი ღონისძიება გარდამავალი ხანის მიხედვით და ამ საკითხისათვისაც არის აუცილებლად საჭირო ურჩი და სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების მშენებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესების შემოღება.

ვინც თავის მოვალეობას არ ასრულებს, მას ძალით შევასრულებინოთ იგი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ქვეყანა სასურველად მოეწყობოდეს და ფართოთ და საუკეთესოდ დააყენებდეს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

იმედი მაქვს, ჩვენი იუსტიციის სახალხო კომისარიატი მიიღებს მხედველობაში ჩვენს მოსაზრებებსაც და გამოიმუშავებს ისეთ კანონს, რომელიც ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას თავიდან ააცილებს დასახელებულ ნაკლს

ძველი მუშა **გიორგი სადაგიშვილი.**

# მაღარო

ძღვნად ჭიათურის ამხანაგებს

ზამთრის ღამეა. ღამე უკუნი.
დღე იგვიანებს თეთრად მცინარი.
ისმის საყვირის ხმათა გუგუნი
და ეს გუგუნი მიმომდინარი,—
მოარღვევს ჰაერს, მოარხევს ჰანგებს
და მოუწოდებს გარს ამხანაგებს.

———

ამ დაძახილზე შრომის ლაშქარი
ილვიძებს, დგება ვით ერთი კაცი,
შავად მოღელავს მუშების ღვარი,
არც ერთს ემჩნევა ფეხის ბარბაცი.
მიდიან ლაღად, მიდიან მხნეთა,
ისმის ხარხარი და საუბარი;
საყვირმა კიდევ ცა გადაჰკვეთა
და ჰა, ვეშაპი მაღაროს კარი,—
გაიღო, და ზღვა მუშათა ჯარი
შთაინთქა მასში, ვით უჩინარი.

———

იქ კი, შავ ჯურღმულში
ოდნავ ბჟუტავს ელნათური,
მიწის თხრილში, მიწის გულში
თუმც მძიმეა სამსახური,
მაგრამ გმირებს, შრომის შვილებს,
აქვთ სიმტკიცე, აქვთ შეგნება,
რომ არ ზიდვენ დღეს ბორკილებს,
რომ მათია, რაც იქმნება:
სიმდიდრე თუ ფუფუნება.
მისთვის არის, რომ არ უჭირთ
მძიმე შრომა შავ-ჯურღმულში,
და მაღაროს ამ შეზრდილ გმირთ
მისთვის უძევთ ცეცხლი გულში.

———

და ათასი მუშის ხელი,
დაკოჟრილი, ოფლის მღვრელი,—
სცემს წერაქვებს,
სჭიმავს ძარღვებს,
სტეხავს შავ-ქვებს
და კლდეს არღვევს.
ერთად დგომა,
ერთად შრომა,
ხიფათი და მასთან ბრძოლა,—
ვერ აშინებთ ხვრელში ძრომა,
და ვერც ზვავის ჩამოწოლა.

———

ჰა, გვირაბი, ჰა, მაღარო,
ჰა, სიმდიდრის უხვი წყარო,
დაჰკა, დაჰკა, შრომის ჯარო,
ქვა-ნახშირი გამოვთხაროთ,
მრეწველობა დავაჩქაროთ!
დაჰკა, მძლავრად, დაჰკა ლომი
მტრის გული არ გავახაროთ.
ჩვენ გვეკუთვნის ჩვენი შრომით
ეს ქვეყანა, ეს სამყარო.
დაჰკა, ჯარო, შრომის ჯარო,
მკლავ-მაგარო, გულ-მედგარო!

———

ჰო-და,
აჰა,
ეს რონოდაც
დაიტვირთა,
არ დახანდა,
დაიძრა და ლიანდაგზე
არაკრაკდა,
აკაკანდა.

———

მიჰქრის, მოჰქრის ორთქლმავალი,
ნაპერწკლებს ჰყრის, უსტვენს, წივის,
ქვის ნახშირიც, ხვავ-მრავალი,
გიშერივით ბზინავს, ღვივის.

———

და ათასი მუშა ხელი,
დალოცვილი, დაუღლელი,—
ჰქმნის სიმდიდრეს საარაკოს,
რომ თვით ირგოს, სხვასაც არგოს.
ამაშია აზრი, მცნება,
კოლექტიურ შრომის ნება,
არსებობის წვა და გზნება,
ტეხნიკა და ხელოვნება.

———

მაშ, დაჰკარით, ძმებო, ლომი,
შრომაშია ხსნა და შვება.
ვინც ხელს გვიშლის, ჩვენი წყრომით
ის ჩვენს კედლებს ქვეშ მოჰყვება
და თუ შეგხვდა მტერთან ომი,
იგიც მალე ალიგვება!

გ. ქუჩიშვილი.

# ბიბლიოგრაფია

## უმსგავსი წიგნი

წავიკითხე უკანასკნელი სტრიქონი მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და დავხურე ეს უმსგავსი წიგნი. არასოდეს არ მიფიქრია ვისმე ნაწარმოების უხეშად შეხება, მაგრამ სიტყვა „უმსგავსი“ უნებლიეთ დასწერა ჩემმა კალამმა. არც ის მიფიქრია, რომ პრესაში სხვის ნაწარმოებზე ხმას ამოვიღებდი და ჩემს აზრს გამოვთქვამდი, მაგრამ „ჯაყოს ხიზნების“ კითხვის დროს თანდათან ისახებოდა და იზრდებოდა სურვილი ამ წიგნზე საკუთარი აზრის საქვეყნოთ გამოთქმისა.

რა არის საჭირო მხატვრულ ნაწარმოებისათვის? ნიჭთან ერთად ზომიერების გრძნობა. თუ ეს უკანასკნელი არ არის, ფუჭია ყველაფერი. უამისოდ მწერალი არაა საკუთარი შემოქმედების ბატონ-პატრონი, ის ადვილად გადაეჩეხება უფსკრულში და მხატვრული განცდის მაგიერ შეურაცყოფის გრძნობას გამოიწვევს მკითხველში.

მე ვამტკიცებ, რომ მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ადამიანის სინიდისის შეურაცყოფაა.

მოკლეთ ასეთია ამ წიგნის შინაარსი: თეიმურაზ და მისი ცოლი მარგარიტა, ვერ გაუძლებენ რა ქალაქში სიღარიბეს. წავლენ სოფელში და შეეხიზნებიან თავიანთ ყოფილ მოჯამაგირეს ჯაყოს, რომელმაც ისარგებლა გარდამავალი ხანით და თეიმურაზის მამული, მისი სახლ-კარი და განძეულება ხელში ჩაიგდო. თეიმურაზის ცოლი ჯერ ხასად გაუხდება ტყიდან გამოვარდნილ ნადირს ჯაყოს, შემდეგ კი მისი კანონიერი ცოლიც გახდება.

თეიმურაზი, ავტორის გადმოცემით, ლიტერატორია, მოაზროვნე ადამიანი და საზოგადო მოღვაწე. და ეს კაცი ურიგდება ისეთს მდგომარეობას, როცა ღამით მისი ცოლის სარეცელში მისი ყოფილი მოჯამაგირე ჯაყო თავის მხეცურ გრძნობებს იკმაყოფილებს, თითონ კი, ჯაყოს სამიკიტნოს უყარაულებს, როგორც მისი დახლიდარი. და შემდეგ, როცა ჯაყო მის ცოლს შეირთავს, ცოლს, რომელიც თითქოს გაგიჟებით უყვარს თეიმურაზს, ეს კაცი მოთმინებით მოუსმენს ჯაყოს წინადადებას, რომ ის თეიმურაზს გაუხსნის დუქანს და ცხოვრების წყაროს აღმოუჩენს.

ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ ამას სჩადის ადამიანი, რომელიც გაურბის მასწავლებლობას სოფელში და მუშაობას კოოპერატივში.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი მოაზროვნე კაცი არ გაჩენილა ჩვენს სინამდვილეში და არც შეიძლება გაჩნდეს; ის არის მხოლოდ ჯავახიშვილის ფანტაზიაში და იქვე სამუდამოდ დარჩება.

მაგრამ ნამდვილი შედევრი ადამიანის გრძნობაზე და მის სინიდისზე დაცინვისა თეიმურაზის ცოლი—მარგარიტაა.

ამ ქალს გზაში ღამით ურემზე ძალით ნამუსს ახდის ჯაყო, გარეგნულად ბანჯგვლიანი, ცხენის კბილებიანი და შუბლ დატყლაპული არსება, სულიერად კი ყოვლად გახრწნილი და მხეცი ადამიანი, ადამიანი, რომელიც ყარს და რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს სისუფთავეზე.

და აი ეს ამყრალებული და ბინძური ჯაყო იმ ღამესვე შეუყვარდება მარგარიტას და გათენებისას ეს ქალი პირველი სიხარულით შეხედავს ამომავალ მზის სხივებს. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ქალი არ გაჩენილა ჩვენს სინამდვილეში და არ შეიძლება გაჩნდეს; ის სამუდამოდ დარჩება მხოლოდ მიხ. ჯავახიშვილის ფანტაზიაში.

მაგრამ რათ დასჭირდა ჯავახიშვილს ამ ფანტაზიების შექმნა? ქონდა თუ არა მას რაიმე მიზანი, სურდა თუ არა მას ახალი სიტყვის თქმა გარდა იმისა, რომ თავად-აზნაურობა დრო-მოჭმული წოდებაა?

მისი ახალი სიტყვაა: საჭიროა სოფლად სკოლების და კოოპერატივების მოწყობა, საჭიროა ამ სკოლებში და კოოპერატივებში მუშაობა.

მაგრამ დამეთანხმება მკითხველი, რომ საქართველოს სინამდვილესათვის ეს სიტყვა არა თუ ახლა არაა ახალი, არამედ არ იყო ის ახალი 20 წლის წინეთ, როცა ჩვენი გლეხობა კავშირდებოდა სკოლებისა და კოოპერატივების გარშემო და ეჩვეოდა სოლიდარულ მუშაობას და რევოლიუციონურ ბრძოლას.

მართალია ჩვენი ცხოვრების ეს დარგი ახლა ძლიერის ტემპით და სხვა შინაარსით მიმდინარეობს, ვიდრე წინეთ, მაგრამ მასზე ლაპარაკი იმ სახით, როგორც ეს ამ მოთხრობაშია, ვერ გასაღდება ახალ სიტყვათ.

კიდევ არის ახალი სიტყვა ჯავახიშვილის ხიზნებში: ქალს იტაცებს მამაკაცის ფიზიკური ღონე და ყველაფერს მას ანაცვალებს.

ეს სიტყვა მართლაც რომ ახალია ჩვენს მწერლობაში. როგორც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, აგრეთვე ჩვენს მწერლობაში სქესობრივ სფეროში მამოძრავებელი მოტივი რაინდობაა და, თუმცა ძველი წოდების წარმომადგენლები ძალას ხმარობდენ ქალებზე, მაგრამ თვით ქალებში ეს იწვევდა მხოლოდ ზიზღსა და საშინელ წინააღმდეგობას.

როცა არციბაშევმა დასწერა თავისი „სანინი“, რუსეთის კრიტიკა მას სასტიკი პროტესტით შეხვდა: მასში დაინახეს სექსუალობის გამეფება მხატვრულ მწერლობაში და, როგორც ასეთი, უაღრესად უარყოფითი მოვლენა.

ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სექსუალობის უუმდაბლესი ნიმუშია ჩვენს მწერლობაში, ხოლო გაცილებით უფრო უხეშად და ბრიყვულად გამოთქმული, ვიდრე არციბაშევის „სანინში“.

სანინი დიდი ხანია, რაც რუსეთში განდევნილია ხმარებიდან. მე ვფიქრობ, რომ საქართველოში „ჯაყოს ხიზნებიც“ მალე განიდევნება, როგორც უმსგავსი მოვლენა ჩვენს მწერლობაში.

ს. ჭანტურიშვილი.

**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისის ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა, № 68. ტირაჟი 7000.